ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისკენ

საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის თვეში ორჯერ **№18 (1806)** 15 ნოემბერი 2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია წერილი საინგილოდან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

„... ამ მიმდინარე 2003 წ. 21 ივლისს ჩვენს სოფელში, მოსულში ბაქოდან მოვიდა პრეზიდენტ ჰ. ალიევის მრჩეველი ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ჰადაიათ ორუჯევი, რომელმაც ათასობით ინგილოს მიმართა: „ვიღაც-ვიღაცეები თქვენთან ქრისტიანობენ ამ ბოლო წლებში, ასეთები ძალიან სცდებიან, აზერბაიჯანელ ერს დიდ ღალატს უმზადებენ. ასეთებს ვაფრთხილებ, აგრეთვე თქვენი სოფლის ხელმძღვანელობასა და თავკაცებს ვაფრთხილებ... მათ 3 წლის წინ ბაქოში მომცეს პირობა, რომ სოფელში დახურავდნენ ქართულ სკოლას, და თანდათანობით აზერბაიჯანულ (ე.ი. თათრულ) ენაზე აალაპარაკებდნენ ხალხს, მაგრამ დანაპირები ვერ შემისრულეს.

... სამაგიეროდ აზერბაიჯანი საქართველოს თათრულ სკოლებს თავისუფლად ნახულობს, ეხმარება და შეფობს. როდემდე გაგრძელდება ეს ცალმხრივი მეგობრობა და მეზობლობა?! როგორც ჩანს, ინგილოთა მსხვერპლად შეწირვის ფასად მოიპოვებთ ამ მეგობრობას.“

გვ. 7

„რუსეთს ანუობს, საქართველო 1-2 წლით დასავლეთის დიდმასშტაბიანი მოძრაობისთვის გაუვალი გაცდეს“

გვ. 3

რეჟისორი ცისკენ იფურთხება



გვ. 4

საქართველოს საგარეო ფრონტის განცხადება

„... შევარდნაძის გეგმა მიმდინარე არჩევნების პროცესში იყო და არის საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა იმ მიზნით, რომ გაატაროს რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი ღონისძიება: საქართველოს ტერიტორიული დანაკარგების დაკანონება, ორმაგი მოქალაქეობისა და ფედერალური წყობის შემოღება, საქართველოდან და სომხეთიდან გასახლებულ მუსლიმანთა შთამომავლობის მთლიანი შემოსახლება საქართველოში 2012 წლამდე, რუსეთის ბაზების დაკანონება, „ესენგესთან“ ინტეგრაციის გაღრმავება, სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უცხოელებზე და სხვა.“

გვ. 2

აშშ-ს შეიარაღებული ძალები და საქართველო

გვ. 6

www. opentext.org.ge/sakart

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ტოტალური გაყალბებისა და მისი მომყოლი პოლიტიკური პროცესების გამო

როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებამ ე.შევარდნაძის მეთაურობით მოახდინა 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების ტოტალური (სრული) და დემონსტრაციული გაყალბება ძალაუფლების შენარჩუნების და მოსახლეობის ფართო მასების შეურაცხყოფის, მათში ღირსებისა და მოქალაქეობრივი თავმოყვარეობის გრძნობის შემდგომი ჩაკვლის მიზნით. გაყალბება მოხდა ჯერ საარჩევნო სიების სრული ფალსიფიკაციით (ამომრჩეველთა დაახლოებით 50% სიის გარეთ იქნა დატოვებული და მათი ადგილები მიცვალებულთა გვარ-სახელებით ან შეთხზული გვარ-სახელებით შეივსო) და ხმათა დათვლის პროცედურასთან დაკავშირებული მანიპულაციებით, რომლებმაც დაუსჯელად ჩაიარა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ქვემდგომ კომისიებში ხელისუფლების მომხრეთა განუყოფელი ბატონობის წყალობით. დღეს თბილისში და რაიონებში მიმდინარეობს საპროტესტო აქციები, ქუჩის აქციების ჩათვლით, რომელთაც სათავეში უდგანან მოძრაობა „ნაციონალები“ და ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები“.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო ფრონტს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

1. არჩევნების წინააღმდეგ მიმართული აქციები, ქუჩის აქციათა ჩათვლით, კონსტრუქციულია და სახელმწიფოს ინტერესთა შესაბამისია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნა და უშუალო მიზანია ჩატარებული არჩევნების ცნობა არშემდგარად და ტექნიკურად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში (პრაქტიკულად: საარჩევნო სიების გასწორებისთანავე) არჩევნების ჩატარება (და არა ჩატარებული კენჭისყრის ცნობა და მასში საკუთარი ხმების დაცვა დათვლის პროცესში შემდგარი ფალსიფიკაციისაგან). ამ ძირითად მოთხოვნას შეიძლება ახლდეს საარჩევნო სიების გაყალბებაში დამნაშავე პირის იდენტიფიკაციისა (დადგენისა) და მისი სამართალში მიცემის მოთხოვნა.

2. საქართველოს პრეზიდენტი შევარდნაძე საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია უზურპატორად, სახელმწიფოს მოღალატედ, უცხო ქვეყნების (პირველ ყოვლისა — რუსეთის) აგენტად, რომლის დავალებაა დივერსია საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, სისხლიან ტირანად და მრავალ სხვა კრიმინალურ ქმედებაში ბრალეულ პირად. სახალხო ფრონტი საზოგადოებას შეახსენებს იმ ფაქტს, რომ ყველა ფილოსოფიურ მოძღვრებაში, ეთიკის პრაქტიკულად ყველა ან თითქმის ყველა სისტემაში, ადამიანის უფლებათა პრაქტიკულად ყველა დეკლარაციაში და საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკულად ყველა უფლებადაცვით დოკუმენტში აღიარებულია საზოგადოების უფლება, ძალით მოიცილოს უზურპატორი ხელისუფალი და ტირანი, რომელიც ძალადობას მიმართავს მის დასათრგუნავად. სახალხო ფრონტი სრული პასუხისმგებლობით რაცხს, რომ ე.შევარდნაძის ვადამდელი მოცილებისათვის საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან იძულებითი წესით, როგორც უზურპატორისა, ტირანისა და მოღალატისა, არ არსებობს იურიდიული ხასიათის დაბრკოლება მას შემდეგ, რაც საზოგადოება დარწმუნდა მის ამ თვისებებში. ამგვარად, საზოგადოება უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ე.შევარდნაძის შემდგომი ყოფნისა თუ არყოფნის საკითხი გადაწყვიტოს მხოლოდ ქვეყნის ინტერესებზე ორიენტაციით, და არა კანონის ასოს მიხედვით. ამავე დროს სახალხო ფრონტი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ, თუმცა შევარდნაძისა და მისი თანამოსაქმეების მმართველობის ყოველი დღე აღრმავებს საქართველოს კატასტროფას, მისი თანამდებობიდან მოცილების ინიციატორ პირსა თუ ორგანიზაციას მოეთხოვება სიფრთხილის უმკაცრესი ზომების დაცვა, რათა არ შექმნას ქაოსი და დიდმასშტაბიანი მსხვერპლი.

3. საქართველოს სახალხო ფრონტის წევრები თავის შეუვალ ვალად რაცხენ მონაწილეობა მიიღონ რეალური არჩევნების ჩატარებისათვის ბრძოლაში. ისინი ყველა შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებენ ხელისუფლებიდან შევარდნაძის წასვლისაკენ მიმართულ აქციებშიც. მაგრამ ამ უკანასკნელ აქციებში მონაწილეობისაკენ სხვა მოქალაქეებსაც მოუწოდებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ აქციებში სრულად იქნება დაცული სიფრთხილის აუცილებელი ზომები, სახელდობრ:

- თუ ქუჩაში გამომსვლელ მასას ეყოლება ორგანიზებული ბირთვი, რომელსაც წინასწარ ეცოდინება, რა რისკზე მიდის, და იმოქმედებს არა განწყობილების მიხედვით, არამედ წინასწარი გეგმისა და ერთიანი ტაქტიკის მიხედვით.
- თუ ამ ბირთვის გონივრულად გათვლილი ნაწილი იქნება მოწინააღმდეგის შეტევისაგან (ცეცხლის გახსნის ჩათვლით) დაცულ ადგილზე და საკმარისად დიდი იქნება, რათა უკანონო ძალადობის შემთხვევაში უზურპატორ ხელისუფლებას ადეკვატური პასუხი გასცეს.
- თუ აქციის ხელმძღვანელებსა და მის დაგეგმვაში მონაწილეებს პერსონალურად და ღიად ექნებათ აღებული პასუხისმგებლობა მის წარმატებაზე და მის შესაძლო არასასურველ შედეგებზე.
- თუ ცნობილი და გაცხადებული იქნება, ვინ იღებს თავისთავზე პროცესების მართვას უზურპატორი ხელისუფლების წასვლის შემთხვევაში და პოლიტიკური პერსპექტივის რა ძირითადი მიმართულებით (რა პროგრამით).

4. შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოს სახალხო ფრონტს ესმის შემდეგნაირად:

ა) გაცხადდა ის, რასაც სახალხო ფრონტი შეუსვენებლივ იმეორებს ბოლო 10 წლის მანძილზე: რომ შევარდნაძე და აბაშიძე ერთი გუნდის (რუსული გუნდის) მოთამაშენი არიან და მათი ამოცანაა თბილისისა და ბათუმის „კონფლიქტის“ ჯერ სიმულირება, შემდეგ კი ორგანიზება.

ბ) შევარდნაძის გეგმა მიმდინარე არჩევნების პროცესში იყო და არის საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა იმ მიზნით, რომ გაატაროს რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი ღონისძიება: საქართველოს ტერიტორიული დანაკარგების დაკანონება, ორმაგი მოქალაქეობისა და ფედერალური წყობის შემოღება, საქართველოდან და სომხეთიდან გასახლებულ მუსლიმანთა შთამომავლობის მთლიანი შემოსახლება საქართველოში 2012 წლამდე, რუსეთის ბაზების დაკანონება, „ესენგესთან“ ინტეგრაციის გაღრმავება, სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უცხოელებზე და სხვა. თავის ერთგულ ურავლესობად შევარდნაძეს ეგულება სამთავრობო ბლოკის, „აღორძინების“ და არჩევნებში მონაწილე ზოგი სხვა პარტიისა თუ ბლოკის დეპუტატები.

გ) დღეს შევარდნაძე იმედოვნებს, რომ გაყალბებული არჩევნების შედეგად სამთავრობო ბლოკისა და „აღორძინების“ დეპუტატები შეადგენენ „საპარლამენტო“ უმრავლესობას, რომელიც იკმარებს მის ანტისახელმწიფოებრივ ზრახვათა გასატარებლად.

საქართველოს სახალხო ფრონტი ურჩევს და სთხოვს „ნაციონალურ მოძრაობას“ და პირადად მ.სააკაშვილს, როგორც მიმდინარე აქციის ხელმძღვანელებს, ყოველ წამს გათვალისწინებული ჰქონდეთ, რომ სიტყვიერი კონფლიქტი და პრაქტიკული კონფლიქტი ასლან აბაშიძესთან ობიექტურად ხელს უწყობს თბილისსა და ბათუმს შორის „კონფლიქტის“ ორგანიზების ზემოხსენებული რუსული დავალების ხორცსშესხმას. აგრეთვე სთხოვს მათ, აქციის ინტერესებიდან და საქართველოს ზოგადი ინტერესებიდან გამომდინარე, მკაფიოდ და ცალსახად განაცხადონ ყველას გასაგონად ის ერთადერთი პოლიტიკური პოზიცია, რომელიც დღეს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება, სახელდობრ:

- რომ აუცილებელია საქართველოს დაუყოვნებლივ გამოსვლა „ესენგედან“ და რუსეთის ყველა სამხედრო ბაზისა და ნაწილის დაუყოვნებლივ გაყვანა.
- რომ აფხაზეთის ომი იყო და არის რუსეთის აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ და რომ აფხაზეთის პრობლემა ინტერნაციონალურია მხოლოდ, როგორც ამ აგრესიის აღკვეთის პრობლემა; რომ აფხაზეთის ავტოხთონური მოსახლეობაა ქართველები და რომ აფსუა („აფხაზი“) ხალხის პოლიტიკურ და კულტურულ ინტერესთა გარანტირებული დაცვისათვის არსებობის ერთადერთი ადექვატური ფორმა — ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში.
- რომ ცხინვალის ზონა არ არის „ოსეთი“ და ვერ იქნება ასეთად.
- რომ საქართველოში დაუშვებელია (რადგან საქართველოსთვის სასიკვდილოა) ორმაგი მოქალაქეობის შემოღება, ფედერალური წყობის შემოღება, 1944 წელს საქართველოდან და სომხეთიდან რელიგიური ნიშნით საბჭოთა ხელისუფლების მიერ გასახლებულ მუსლიმანთა შთამომავლების ტოტალური შემოსახლება საქართველოში ევროსაბჭოს ეგიდით 2012 წლამდე და უცხოელებისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის უფლების მინიჭება.
- რომ მათი პოლიტიკის გამჭოლი მიზანია საქართველოს არა მხოლოდ სრულყოფილად დემოკრატიული, არამედ აგრეთვე ეროვნული სახელმწიფოს აშენება, ანუ ისეთი სახელმწიფოსი, რომლის მიზანთა შორის იქნება ობიექტური პირობების შექმნა საქართველოს მარადიულყოფისათვის, როგორც
  ა) დამოუკიდებელი სახელმწიფოსი
  ბ) დღევანდელ (ე.ი. 1989 წლის) საზღვრებში მყოფი სახელმწიფოსი
  გ) სახელის „საქართველო“ მატარებელი სახელმწიფოსი და
  დ) ქართული სახელმწიფოსი, ანუ ისეთისა, რომელიც თავის მოქალაქესთან კომუნიკაციას ქართული ენით ახორციელებს.

5. შექმნილ ვითარებაში საქართველოს სახალხო ფრონტი გადამწყვეტი ბრძოლისა ამოცანად და სასწრაფო ზომად (რომლის გადაჭრა უკვე მომწიფებულია) თვლის საქართველოს ჭეშმარიტად ეროვნულ და, მასაშადამე, ჭეშმარიტად დემოკრატიულ ძალთა ქმედითი გაერთიანების შექმნას, რომელსაც მიზნად ექნება:

- საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის სიცოცხლისუნარიანი და ქმედებისუნარიანი ბირთვის შექმნა (ცხადია, რომ შევარდნაძის ტიპის ხელისუფლება ასეთ ბირთვს ვერ შექმნის და არ შექმნის).
- საქართველოს სახელმწიფოს იდეოლოგიური და პროგრამული ბაზის შექმნა (იგი რეალურად უკვე არის) და საზოგადოების ცნობიერებამდე მისი მიტანა.
- საქართველოს საგარეო და საშინაო პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლა უზურპატორი და მოღალატე ხელისუფლების გვერდის ავლით (პროპაგანდისტული ომის წარმოებისა და მოგების ჩათვლით).
- კადრის (პირველ ყოვლისა — ერთგული პოლიტიკური კადრის) მომზადება.

მოგიწოდებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს პოლიტიკური სიფხიზლისა და აქტიურობისაკენ საქართველოს დღევანდელი მძიმე განსაცდელის ჟამს.

საქართველოს პარლამენტისწინა მოედანზე მიტინგზე 9 ნოემბერს საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯომარის ნოდარ ნათაძის გამოსვლის ტექსტი:

1. 2 ნოემბრის არჩევნები უნდა ჩაითვალოს არშემდგარად და საქართველოს პარლამენტის რეალური არჩევნები უნდა ჩატარდეს ტექნიკურად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში, ანუ საარჩევნო სიების გამართვისთანავე.

2. სახელმწიფოს ყველა ფილოსოფიური და პოლიტიკური თეორია, ადამიანის უფლებათა ყველა დეკლარაცია და ყველა თანამედროვე უფლებადაცვითი დოკუმენტი აღიარებს ხალხის უფლებას ნებისმიერი საშუალებით, ძალის გამოყენების ჩათვლით, მოიცილოს ტირანი, უზურპატორი და მოღალატე ხელისუფალი. დღეს ნათელია, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფალი შევარდნაძე აღჭურვილია ყველა ამ თვისებით. ამგვარად, მისი ხელისუფლებიდან მოცილებისათვის იძულებითი წესით არ არსებობს რაიმე კანონიერი დაბრკოლება. შესაბამისი აქციებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი შეზღუდვა: საქართველოს პრაქტიკული ინტერესი, რომელიც მოითხოვს, რომ არ იყოს მსხვერპლი და, მით უმეტეს, ზედმეტი მსხვერპლი და ქაოსის შექმნა.

3. ჩვენ, საქართველოს სახალხო ფრონტის წევრები აქ ვართ ფიზიკურად. ჩვენი ქვეყნის სხვა მოქალაქეებსაც ვურჩევთ ერთობლივად ბრძოლას იმისათვის, რომ 2 ნოემბრის არჩევნები არჩატარებულად ჩაითვალოს და ჩატარდეს რეალური არჩევნები უმოკლეს ვადაში. ჩვენ პირადად აქ ვართ, ყველა შემთხვევაში, შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნითაც.

4. შევახსენებთ აქ მყოფ და აქ არმყოფ პოლიციელებს და შეიარაღებულ ძალთა სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა მონაწილეებს, როგორიცაა კაზაკთა „არმია“, შევარდნაძის პირად დაქვემდებარებაში მყოფი მუსლიმანური რაზმები და სხვანი: დღევანდელი ნორმებით დანაშაულებრივი ბრძანების შესრულება დანაშაულია. გახსოვდეთ ეს, თუ სამართლიანი მოთხოვნით ქუჩაში გამოსული ხალხის წინააღმდეგ იარაღის გამოყენების ბრძანებას მიიღებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი იხილავს ძალიან მნიშვნელოვან, მაგრამ დღეს ნაკლებ აქცენტირებულ საკითხს _ სახელმწიფო საკუთრებაში მოქალაქის წილისას ჰოსტელმენტის საზოგადოებაში საერთოდ და საქართველოში კერძოდ

მიმდინარე პოლიტიკური მომენტი

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, ისარგებლა რა ქართველმა ხალხმა ერთა თვითგამორკვევის და თავისუფლების უფლებით, ახალი პოლიტიკური თანაფარდობის შედეგად შექმნილი ხელსაყრელი პირობებით, მან, ღმერთის წყალობით, შეძლო თავისუფალი სუვერენული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რაც დააფიქსირა საყოველთაო სახალხო რეფერენდუმმა, კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა და დემოკრატიულად ჩატარებულმა არჩევნებმა.

ხალხის ნების გათვალისწინებით, დემოკრატიულად არჩეული იქნა სახელისუფლებო ორგანოები და თავისუფალი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

ახალი ხელისუფლება, რომელმაც მიიღო პროგრესული კანონები „საკუთრების შესახებ“, „მეწარმეობის შესახებ“, „კომერციული ბანკების შესახებ“ და სხვა, შეუდგა რა დემოკრატიულ-ლიბერალური რეფორმების განხორციელებას, მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა მაფიოზურ-კლანური ელიტის სახით ჩამოყალიბებულ საკავშირო და ადგილობრივი კომუნისტური ნომენკლატურის ყველაზე კორუმპირებული და აგრესიული ნაწილისაგან.

დემოკრატიულ-ლიბერალური რეფორმა, რაც უპირველეს ყოვლისა ეროვნულ ეკონომიკაში საჯარო სამართლებრივი ურთიერთობებით შეცვლას და, შესაბამისად, საერთო-სახალხო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, თითოეული მოქალაქის, როგორც კერძო მესაკუთრის, უფლების აღიარებას და მისი გამოყენებისას — ფაქტიური — თანასწორობის უზრუნველყოფას გულისხმობდა, სასიკვდილოდ დაემუქრა ყოფილი საბჭოთა-პარტიული ნომენკლატურის — სახელმწიფო მოხელეების, დირექტორების და მათთან მიტმასნილი კრიმინალური პირების — კორუმპირებული, აგრესიული ნაწილის ქონებრივ ინტერესებს.

ისინი ხომ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული სოციალურ-პოლიტიკური სტატუსის მიხედვით „საერთო-სახალხო“ ქონების ფაქტიურ მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ, განკარგავდნენ მას და სარგებლობდნენ მით, სამართლებრივი ნორმების იგნორირებით, სკკპ მონოპოლისტური პოლიტიკური ძალის საფუძველზე — ეკონომიკის პარტიული ხელმძღვანელობის და მართვის მეთოდების გამოყენებით.

ახლად ჩამოყალიბებულმა სახელმწიფო სტრუქტურებმა ვერ შეძლეს მტკიცე სახელმწიფო პოლიტიკის გატარება საერთო სახალხო საკუთრებაში მყოფ ქონებაში თითოეული მოქალაქის კუთვნილ წილზე კერძო მესაკუთრის უფლების შეუზღუდავად ამ უფლების დიქტატორულად დაცვისათვის და, შესაბამისად, მისი ფლობის, განკარგვის და მისით სარგებლობისას ფაქტიური თანასწორობის უზრუნველყოფისათვის. მოქალაქეების უმრავლესობა, ცხოვრობდა რა საბჭოთა პერიოდში კერძო მესაკუთრული ფენომენის და ინდივიდუალიზმის სასტიკი დევნის პირობებში, ქვეცნობიერად მოუმზადებელი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ქონების კერძო მესაკუთრის როლისათვის და, ამგვარად, მისი უფლებების სახელმწიფოს მხრიდან დაუცველობის შემთხვევაში საკუთარი ინიციატივითა და ძალით მისი დაცვის მიზნით, ინდივიდუალური, აქტიური პოლიტიკური მოქმედებებისათვის.

შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა მაფიოზურ-კლანურმა „ელიტამ“ და, საქართველოს თავისუფლებისა და სუვერენულობის წინააღმდეგ მოქმედი ძალების მხარდაჭერით, ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების იგნორირებით, ეროვნული ხელისუფლების სისხლიანი დამხობის გზით ყაჩაღურად მიისაკუთრა პოლიტიკური ძალაუფლება და მასთან ერთად, ჯერ კიდევ ფორმალურად, საერთო-სახალხო საკუთრების სახით არსებული ქონების ფლობის, განკარგვის და სარგებლობის უფლება, შემდგომში კი, გაყალბებული არჩევნებისა და პრივატიზაციის მეშვეობით „დაიკანონა“ რა სახელმწიფოს მართვის და ქონების მესაკუთრის მიტაცებული უფლება, მოევლინა საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებელი, „დემოკრატიულ-ეროვნული“ ხელისუფლების სახით.

ამ ხელისუფლებამ, დემოკრატიულ-ლიბერალური რეფორმის გატარების მოტივით, საერთო-სახალხო საკუთრების ფორმალურ სტატუსთან ერთად გააუქმა: განათლებით, სამედიცინო დახმარებით, სოციალური დაზღვევით, საცხოვრებლით, მინიმალური საარსებო შემოსავლით სახელმწიფოს ხარჯზე მოქალაქეების პრიორიტეტული უზრუნველყოფის ვალდებულება და მის ნაცვლად ხალხის საკუთრების ხარჯზე სახელმწიფო მოხელეების პირადი ანგარებითი მიზნების პრიორიტეტული უზრუნველყოფა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა.

ამავე დროს, სამართლებრივი აქტებით შეზღუდა რა მოქალაქეების მშვიდობიანი თავშეყრის, დემონსტრაციის და სხვა დემოკრატიული უფლებები, ფაქტიურად მოუსპო მათ საკუთარი უფლების დაცვის მიზნით საზოგადოებრივი პროტესტის სხვადასხვა ფორმით სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენის კონსტიტუციით განსაზღვრული სამართლებრივი ნორმების გამოყენების შესაძლებლობები, რითაც ხელი შეუწყო სახელმწიფო სტრუქტურების და ცალკეული მოხელეების მიერ ადამიანის უფლებების სამართლებრივი იგნორირების პოლიტიკის დამკვიდრებას.

ამ პოლიტიკის შედეგია სახელისუფლებო სტრუქტურებში მასობრივად გავრცელებული კორუფცია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ფაქტიური დაკარგვა, მოქალაქეების აბსოლიტური უმრავლესობის გაღატაკება და პოლიტიკურად დაბეჩავება, მოსახლეობის და მასში ქართველთა ხვედრითი წილის შემცირების, სიკვდილიანობისა და მიგრაციის ზრდის ტენდენცია, ლიბერალური ბიზნესის და საქმიანი მეწარმეების მასობრივი შევიწროების და ლიკვიდაციის ფონზე კრიმინალურ-კლანური „ელიტოკრატიის“ უსაზღვროდ გამდიდრება და გაპარპაშება.

ეკონომიკის ფაქტიური დონისათვის შეუსაბამო, მეცნიერულად დაუსაბუთებელი საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო, ფასწარმოქმნის ეროვნული და სოციალური პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება ატარებს და ამართლებს, როგორც გარდამავალ პერიოდში თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისათვის აუცილებელ მოქმედებებს, რადიკალურად შორს არის ქართველთა დამახასიათებელი ფსიქიკური წყობისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების პირობებში დემოკრატიულად და სოციალური თვალსაზრისით სამართლიანად ცხოვრების ფაქტიური ორგანიზებისათვის აუცილებელი მოქმედებებისაგან, იგი ძირითადად განპირობებულია ხელისუფლებაში მყოფი კრიმინალურ-კლანური „ელიტის“ ანგარებითი ინტერესებით და მიზნებით, რამაც სრულყოფილი ასახვა ჰპოვა ეკონომიკის-ფაქტიური მდგომარეობისათვის შეუსაბამო, სოციალურად აღმაშფოთებელი ბიუჯეტის დამტკიცების და შემდგომში მისი სეკვესტრირების პრაქტიკაში.

არსებული საგადასახადო კოდექსი, მასში ჩამოყალიბებული დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი, მათდამი არადიფერენცირებული მიდგომა, გადასახადის გაანგარიშების საკვანძო ელემენტებისა, ადმინისტრირების წესები და მეთოდები, სათანადო სამართლებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სოციალური არგუმენტირების გარეშე განხორციელებული სისტემატიური ცვლილებე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

„რუსეთს ანუობს, საქართველო 1-2 წლით დასავლეთის დიდმასშტაბიანი მოძრაობისთვის გაუვალი გახდეს“

ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან

— ბატონო ნოდარ, როგორ გესმით მიმდინარე მოვლენები?

— დიდიდან დავიწყოთ თუ პატარებიდან?

— დავიწყოთ იმიდან, რაც დღეს პარლამენტის წინ ხდება.

— შევარდნაძემ ტოტალურად გააყალბა წინა ორი არჩევნებიც: საპარლამენტო და საპრეზიდენტო. ადგილობრივიც გააყალბა, მაგრამ ნაწილ-ნაწილ, იქ ერთი მთლიანი „ოპერაცია“ არ ჩატარებულა. ამჯერად სიახლე ისაა, რომ გაყალბება მოხდა ღიად, გამომწვევად. აქ ორი შესაძლო მიზეზია: ერთი ისაა, რომ საარჩევნო კანონი ძველზე უკეთესია. იგი, ძირითადად, სახალხო ფრონტმა დაწერა და შემდეგ სხვებმა გადაწერეს. იქ გაყალბების ყველა ცნობილი ხვრელები, ფაქტობრივად, ამოქოლილი იყო. ამიტომ შევარდნაძემ მთლიანად მოუსვა ხელი და დაუფარავად ყალბი სიები შექმნა. მეორე ისაა, რომ შევარდნაძეს მიზნად აქვს ხალხის პროვოცირება მისი შეურაცხყოფის გზით. თავის დარჩენილ დროში იგი თავის დივერსიულ საქმიანობას აჭარისკენ მიმართავს. გეგმავს, სხვათა შორის, რომ თავის ერთ-ერთ იარაღად აჭარაში გამეფებული საარჩევნო დიქტატურა გამოიყენოს. აჭარაში, როგორც ცნობილია, არჩევნებს ყოველთვის ზუსტად ის შედეგები აქვს, რაც ასლან აბაშიძეს უნდა.

— როგორ უნდა გამოიყენოს?

— ეს ნაწილობრივ უკვე ჩანს. აჭარაში გაფორმებულია 300 ათასამდე ამომრჩეველი. სინამდვილეში ბევრად ნაკლებია. ეს უკვე მიზეზია „შარის“ მოდებისთვის. მართლაც, აჭარის ხმები გვიან მოდის და მათ განაწილებაში აშკარად ჩანს შევარდნაძის ხელი: ვიღაცას ათი ათასი ხმა მიუგდეს, ვიღაცას — თხუთმეტი და ასე შემდეგ. ანუ, ასლან აბაშიძის ხელში მყოფი ხმები გამოყენებულია არჩევნების შედეგთა უსირცხვილო მანიპულირებისთვის შევარდნაძის მიერ. ეს იწვევს უმისოდაც გაღიზიანებული ხალხის აღშფოთებას. მიტინგზე პარლამენტის წინ აბაშიძის წინააღმდეგ მიმართული უარყოფითი გამოთქმები ისმის. ამ ფონზე (ხაზს ვუსვამ) აბაშიძე დგამს ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯს, რომელსაც სხვა შემთხვევაში არც გაბედავდა და არც იკადრებდა — თავხედურად ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციას და „იკანონებს“ შეიარაღებული ძალების ყოლისა და მათი „სარდლობის“ უფლებას. შევარდანძე კი მესამე დღეს აკითხავს მას ბათუმში და ვითომც არაფერია, შოუს ატარებს ხალხმრავალი დახვედრის სახით.

ეს უკვე მოხდა. დავაკვირდეთ ახლა, რა ხდება ამის შემდეგ. შევარდნაძე და აბაშიძე უნიღბოდ გამოდიან სცენაზე, როგორც რუსეთის ემისრები საქართველოში, ღიად იღებენ ინსტრუქციებს პუტინისგან და ღიად აბამენ საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულების ხლართებს ქოჩარიანის მონაწილეობით და, სავარაუდოა, საქართველოს სომხური მოსახლეობის ნაწილის გამოყენებით. ესეც უკვე მომხდარია. ახლა ვნახოთ, რა შეიძლება მოსდევდეს ამას სცენარის მიხედვით.

სავარაუდოა, შემდეგი: პარლამენტი, სადაც უკანონოდ მოპოვებული უმრავლესობა აქვთ სამთავრობო ბლოკს და „აღორძინებას“ (მაჟორიტარებთან და, ალბათ, რიგ სხვა პარტიებთან ერთად), ერთობლივად იმართება ამ ორის მიერ და ნელნელა საქმე მიჰყავს ხელისუფლების ხავერდოვანი გადაცემისკენ შევარდნაძის ხელიდან აბაშიძის ხელში. პოლიტიკა იგივე რჩება, რაც შევარდნაძის დროს, სახელდობრ, პრორუსული, მაგრამ ორი სიახლით. პირველი: იგი აღარ ინიღბება, იგი ღიად პრორუსული ხდება. მეორე — ახალი მმართველი არაა პასუხისმგებელი იმ ტერიტორიულ დანაკარგებზე, რაც საქართველოს დე ფაქტო აქვს შევარდნაძის მოღალატური პოლიტიკის გამო, და ღიად ამბობს უარს მათს გამოსწორებაზე (აბაშიძის „იდეები“ ამ მიმართულებით კარგადაა ცნობილი). შევარდნაძის პრეზიდენტობისა და პარლამენტში „აღორძინების“ ლიდერობის პირობებში, ურთიერთგადაბრალებით, ერთი-მეორეს მოსდევს პრორუსული ნაბიჯები და შემდეგ შევარდნაძის ნაცვლად გაპრეზიდენტებულ აბაშიძეს თითქმის მთლიანად დანგრეული საქართველოს ლიდერის საკარძელი — პასუხისმგებლობისგან უკვე განთავისუფლებული სავარძელი — ჰხვდება.

— როგორ ფიქრობთ, აბაშიძეს ხმას უფრო მისცემენ რეალური მეტოქის ყოლის პირობებში, მისი უყოლობის პირობებში თუ მხოლოდ არჩევნების ახალი ტოტალური გაყალბების პირობებში?

— სწორედ ეს კითხვაა მთავარი. მე ვფიქრობ, შეთქმულების სცენარი არ გულისხმობს, რომ აბაშიძეს პრეზიდენტად აირჩევენ. მას წარადგენენ, მაგრამ არ აირჩევენ და ამით შეუქმნიან მას საბაბს „წყენისათვის“, რასაც მისი ამ ერთი კვირის წინ უკვე დაწყებული დესტრუქციული საქმის მკვეთრი გაძლიერება მოჰყვება. არჩევნების გაყალბების პრაქტიკა, რა თქმა უნდა, არ შეწყდება და ეს იმ „წყენას“ ფორმალურ საბაბს შეუქმნის. მოხდება, რა თქმა უნდა, შეშფოთებულ ადამიანთა მიტინგებზეც თბილისში უტაქტო ფრაზების შემოგდება ამ „წყენის“ გასამართლებლად. ეს არის, მე მგონი, ამჟამინდელი შეთქმულების გენერალური ხაზი, რომელსაც პარალელურად სხვა, უკვე ცნობილი ხაზებიც მოჰყვება.

— თუ შევარდნაძე იძულებული იქნება, წავიდეს?

— იგი უკვე იძულებულია, წავიდეს. ის, რომ 2005 წლის შემდეგ დარჩენას აღარ ფიქრობს არც ერთი ფორმით (ეს, მე მგონი, ყველასთვის უეჭველია), იძულების შედეგია და არა კეთილი ნებისა. მაგრამ როდის წავა და რა სახით? წასვლა უნდა, მე მგონი, იმ სახით, წეღან რომ მოგახსენეთ — რუსეთისთვის სასურველი და საქართველოსთვის დამანგრეველი სახით. რაც შეეხება ვადას, იგი, მე მგონი, სადღაც დღევანდელ დღესა და შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის დამთავრების დღეს შორის ძევს. დღესაც რომ წავიდეს, მე მგონი, იმ დამანგრეველი გეგმის განხორციელებისთვის, წეღან რომ გითხარით, საფუძველი უკვე არსებობს.

— ახლა გვიბრძანეთ, რას გულისხმობთ „დიდ“ მოვლენებად ამ მიმდინარე პროცესებში?

— რუსეთისა და დასავლეთის ჭიდაობის თუ ჭილაობის სიმულაციას, რასაც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთი ძალიან გააქტიურებულია დასავლეთის წინააღმდეგ (ებრაულ ოლიგარქებსაც პუტინი იმიტომ დაერია) და ამერიკელებს, „კბილს უსინჯავს“, აბა ვნახოთ, ერაყში უჭირთ და შეიძლება დათმობებზე წამოვიყვანოთო. გამოაქვეყნეს ამერიკულ-რუსული სტრატეგიული პარტნიორობის კონცეფციაც, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის თითქმის თანასწორ ურთიერთმოკავშირეობას და „პოსტკომუნისტური სივრცის“ (ბალტიის გარდა) რუსეთისათვის დათმობას გულისხმობს. ეს ორივე მუქარა — ოლიგარქთა შევიწროებითაც და იმ კონცეფციის პუბლიკაციითაც — დიპლომატიურ ბლეფს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას. ჩვენ ბევრჯერ გვქონია ამ თემაზე საუბარი და აღარ გავიმეორებ. ამიერკავკასიაში დღეს ამერიკელებს უფრო დიდი ინტერესიც აქვთ, ვიდრე რუსებს, და მათი ძალაც ბევრად უფრო დიდია, ვიდრე რუსეთისა. ამიტომ ამიერკავკასიიდან (პირველ ყოვლისა — საქართველოდან) უკანასკნელი შეიარაღებული რუსის წასვლა დღის უშუალო წესრიგში დგას. ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ ჩვენი პრობლემები ამით მთავრდება. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ რუსეთს თავისი გლობალური ინტერესის განხორციელებისათვის — შუა აზიისკენ დასავლეთა გზის გადაკეტვისათვის — საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ ერთადერთი რეალური მეთოდიღა რჩება: ესაა რადიაციული, ეკოლოგიური, ქიმიური, სოციალური თუ პოლიტიკური დივერსია — ისეთი მდგომარეობის ორგანიზება, რომ საქართველო, რაღაც დროით — ვთქვათ, ერთი ან ორი წლით, რაც რუსეთისთვის დიდი მოგებაა, — დასავლეთის დიდმასშტაბიანი მოძრაობისათვის ფაქტობრივად, გაუვალი გახდეს. ამ დივერსიებს შორის ყველაზე უფრო ადვილია და რუსეთის პრესტიჟისათვის ყველაზე უფრო „უწყინარია“ პოლიტიკური უდაბნოს — ბნელი სისხლიანი ქაოსისა და განუკითხავი შიდაომის — მოწყობა, ეთნიკურ ომთა ჩათვლით. მე მგონი, რუსეთი დღეს სწორედ ამ გზას გეგმავს, თუმცა, რასაკვირველია, ეს არც იმ სხვა გზებს გამორიცხავს.

— რა უნდა ვქნათ, თქვენი აზრით, ჩვენ?

— თუ „ჩვენში“ გულისხმობთ საქართველოს სახელმწიფოს, მაშინ მოგახსენებთ, რომ კეთილი ნების შემთხვევაში საქართველოს დღეს — ამ უაღრესად ხელსაყრელ ისტორიულ მომენტში, — თავისი ყველა პრობლემის გადაჭრა ძალუძს ორი წლის ფარგლებში. ვრცელი პროგრამა არსებობს და იგი შეგიძლიათ ინტერნეტში ნახოთ. თუ გვგულისხმობთ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც კეთილი ნება არ გვაკლია, მაშინ გიპასუხებთ ასე: ჩვენ უნდა შევქმნათ ეროვნული წინააღმდეგობის ცენტრი, რომელიც შექმნის საქართველოს რეალური ეროვნული სახელმწიფოებრიობის ბირთვს — ორგანიზაციულადაც, კონცეპტუალურადაც და კადრებით დაკომპლექტების მხრივაც. არსებული ხელისუფლება ამას, რა თქმა უნდა, არასოდეს გააკეთებს. ამ ვაკუუმის შევსება — ვაკუუმისა, რომელიც ჩვენი უფრო დიდი მტერია, ვიდრე შევარდნაძე — ჩვენი ყველაზე დიდი და მძიმე ამოცანაა. დღეს მის გადასაჭრელად საზოგადოებრივი ვითარება და „ფსიქოლოგიური ამინდი“ უკვე მომწიფებულია.

ეს ცენტრი ჩამოყალიბდება და ფრთებს გაშლის, რა თქმა უნდა, არა „კაბინეტში“, არამედ ბრძოლაში — ბრძოლაში საქართველოს დეოკუპაციისათვის, ტერიტორიის აღდგენისათვის, საპროპაგანდო და დიპლომატიურ შემოტევათა მოგერიებისათვის, სამოქალაქო ხელმოწერათა და სხვა ინიციატივათა ორგანიზაციისათვის და ხელისუფლების შეცვლისათვის, რაც ამ ბრძოლისთვის აუცილებელი, მაგრამ არა ერთადერთი კომპონენტია.

„საქართველო“

რეჟისორი ცისკენ იფურთხება

ქართულ სცენას ტრადიციულად მოსდევდა ამაღლებულისა და ტრაგიკულის დიდი სიყვარული. შექსპირი მისი შინაურიც იყო და მისი საჯილდაო დრამატურგიც. ჩემს თაობას ახსოვს გენიალური შავგულიძე-ავგუსტუსი („ანტონიუსი და კლეოპატრა"), რომელსაც ყველა ძარღვი უთრთოდა დაოკებული პოლიტიკური ტემპერამენტით და ამავე დროს ცეზარის ოლიმპიურ სიმშვიდეს ასხივებდა. მახსოვს იმედაშვილი-ლირი, უშანგი ჩხეიძის ჩანაწერი „ყოფნა? არყოფნა?"-ს მონოლოგისა, რომელშიც დანიელი უფლისწულის პიროვნების სრულებით თავისებური, უპრეცედენტო ინტერპრეტაცია იყო განსახიერებული. (იგი აქცენტს აკეთებდა სიტყვებზე „განა ეს ბოლო სანატრელი არ უნდა იყოს?" და მათს ქართულ თარგმანში მოცემულ კითხვის ნიშანზე, რომელსაც ორიგინალში თხრობით კილოს წინადადება შეესიტყვება: „This is a consummation devoutly to be wished). შემდეგ შექსპირი საქართველოს სცენიდან გაქრა, ისევე, როგორც ამაღლებული და ტრაგიკული - ეს ძირითადი ესთეტიკური კატეგორიები, - საერთოდ. (რუსთაველის თეატრის სასაცილო „ჰამლეტს" აქ, რა თქმა უნდა, არ ვახსენებთ). მოვიდნენ სხვანი - და მათ შორის, ერთ-ერთ პროტაგონისტად, ბერტოლდ ბრეხტი, რომელსაც მსოფლიოს ყოველდღიური კრიტიკა ძნელად თუ გაუბედავდა შენიშვნას მისი პოპულისტური პოპულარობის გამო, სერიოზული ლიტერატურისმცოდნეობა და კულტურმცოდნეობა კი, მაგალითად, ასეთი გამონათქვამით ახასიათებდა: ამა და ამ წლამდე მას საინტერესო ვერსიფიკაციული ექსპერიმენტები ჰქონდა, შემდეგ კი ხელი აიღო არტისტულ ამოცანებზე და სოციალურ პროპაგანდას მიჰყო ხელიო. (ეს სიტყვები მე მახსოვს ექსპრესიონისტური პოეზიის გერმანიაში გამოსული ქრესტომათიის წინასიტყვაობიდან. ეს ენციკლოპედიური ტიპის გამომცემლობის პროდუქცია გახლავთ, რომელსაც, როგორც წესი, მკითხველის წინაშე მხოლოდ არასადავო, მეტნაკლებად შემოწმებული და მიღებული შეფასებები გამოაქვს). ჰოპულარობა მას საქართველოში არ აკლდა: მიმზიდველი იყო, სამოციანი წლების დამყაყება-ჩაკეტილობის პირობებში, ისიც, რომ „სამგროშიანი ოპერის" პერსონაჟობის პატივი მეძავებსა და ქურდებს აქვთ, რომ ქურდი და პოლკოვნიკი ერთ დაფაზე არიან დაყენებულნი. და ისიც, რომ სცენაზე თანამედროვე დიდი ქალაქის ფსკერის ატმოსფერო ტრიალებს. წყვეტა იყო, ბუნებრივია, ბერტოლდ ბრეხტის თეატრის გასტროლების ბილეთებზეც, მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლს მაყურებლის გამაოგნებელი დიდი არა გააჩნდა რა, გარდა ისეთი აქცენტირებული გულუბრყვილო ბანალობებისა, როგორიც იყო იმ პოლიციელისა და ქურდის საშინელი ფორტეს გრიალში წარმართული დუეტი და სანყალი მეძავი გოგონას გაჩივლება „erst Kommt das Fressen, dann Kommt die Moral" („ჯერ ხეთქვა-ჭამა, შემდეგ კი მორალი".

აი, ამ ბერტოლდ ბრეხტის „ტალღას" შემოჰყვა ქართულ სცენაზე, თუ სწორად მახსოვს, რობერტ სტურუა. იგი მიიღეს მშვიდად და დადებითად. არც დიდი განაცხადი, არც რაიმე იმედგაცრუება მისი მხრიდან საზოგადოებას არ დაუნახავს - ისევე, როგორც, ბუნებრივია, არ ხედავდა და ვერ დაინახავდა ვერც ერთს, ვერც მეორეს ბერტოლდ ბრეხტის მხრიდან.

გავიდა დრო და რობერტ სტურუამ მაყურებელს თავის რეჟისორულ შესაძლებლობათა სულ სხვა წახნაგიც დაანახვა - კოლორიტული კომედია, ძველი თბილისი, ლაღი ირონია ამ უკანასკნელისადმი, სტილის საუკეთესო გრძნობა, ტაქტი და ზომიერება, რასაც, ჩვეულებრივ, ინტელიგენტი და ესთეტიკურად განვითარებული რეჟისორისაგან მოელიან და ითხოვენ ("ხანუმა")

გავიდა კიდევ დრო და რ. სტურუამ „რიჩარდ მესამე" დადგა, რომელიც ტრიუმფით აჩვენა ლონდონში. რუსთაველის თეატრის იუბილეზე, რომელიც ცოტა ხანში მოჰყვა ამ გასტროლს, გაზ „ტაიმსის" სათეატრო მიმომხილველმა აუხსნა აუდიტორიას, რით დააინტერესა ქართულმა სპექტაკლმა ლონდონელი მაყურებელი: ფრაზები არ მახსოვს, ბუნებრივია, მაგრამ აზრი ის იყო, რომ მაყურებლისათვის საინტერესო იყო შექსპირის დეჰერიოზაციის, მისი უამისოდაც ძალიან მიწიერი შემოქმედი ინდივიდუალობის „დამიწების" თამამი ცდა. სიტყვა „დეჰეორიზაციამ" (არ ვარ დარწმუნებული, რომ ბრიტანელმა სწორედ იგი იხმარა) შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს: კრიტიკოსს არ უგულისხმია, რომ ამიერიდან, რაკი შექსპირმა ეს „ოპერაცია" განიცადა, იგი თავის შემდეგ სიცოცხლეს საუკუნეებში ამ პრეპარირებული (დეჰეროიზირებული) სახით განაგრძობს. სრულებითაც არა! თქმული მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბრიტანელებს სასურველად და საჭიროდ მიაჩნიათ, დროდადრო თავისი კლასიკის „ინვენტარიზაცია" მოახდინონ, ანუ შეამოწმონ, რა რჩება მისგან და რამდენად მიმზიდველი რჩება იგი, თუ მას მოაკლებთ ამა თუ იმ ეპოქისეულ, კონტექსტუალურ სტილისტურ მახასიათებლებს, როგორიცაა მაღალფარდოვანი თუ ჟარგონული მეტყველება, რაინდული თუ მდარე სამოქმედო სივრცე, ამაღლებულ ვნებებში თუ წვრილმან ინტერესებში ტრიალი. ეს არ არის იგივე, რაც კულტურის კრიზისებით გამოწვეული ეპოქების მონაცვლეობა. მას შემდეგ, რაც ბოდლერის „ბოროტების ყვავილები" გამოჩნდა, ფრანგი ავტორი (და ვერც ვინმე სხვა ავტორი) ჰიუგოსებრი ჰუმანიზმის სტილით ვეღარ დაწერს (ჰუმანიზმის სხვა სტილით დაწერს). დეჰეროიზებული შექსპირის ნახვის შემდეგ კი ინგლისელი ან არაინგლისელი რეჟისორი თავისუფლად გადაწყვეტს შექსპირის სპექტაკლს იმავე ჰეროიკულ და ტრაგიკულ გასაღებში, რომელშიც მას წინა რეჟისორები წყვეტდნენ.

ახლა, როგორც საგაზეთო ინტერვიუდან ვიგებთ, რ. სტურუას ვეფხისტყაოსნის დადგმა განუზრახავს - ვეფხისტყაოსნისა, რომელსაც, მისივე სიტყვით, ადგილ-ადგილ ვერ იგებს და რომლიდანაც იმას, რასაც ვერ იგებს, გადაყრას უპირებს. ის, რასაც იგებს და რამაც უნდა წარმართოს მისი მუშაობა სპექტაკლზე, ძირითად ხაზებში შემდეგია.

„მინდოდა გამეგო, რატომ არის ვეფხისტყაოსანი დიდი. სხვათა შორის, ახლაც მინდა მაგის გაგება" გვიამბობს რესპონდენტი (რ. სტურუა) მას შემდეგ, რაც თავისი სიჭაბუკის შთაბეჭდილება გაგვიზიარა, როცა, მისი სიტყვით, ვეფხისტყაოსნის ქართულადაც წაკითხვა დაუპირა, მაგრამ ტექსტი არ ესმოდა (რაც სავსებით ბუნებრივია. XII საუკუნის ენის გაგებას ფილოლოგიური მომზადება სჭირდება). ამ მეთოდურად სავსებით კანონიერ განცხადებას მოსდევს სიტყვები, რომლებიც მეცნიერულ მიდგომას სცოდავს, სახელდობრ, დაკონკრეტებისა და დასაბუთების გარეშე გამოთქვამს მსჯავრს, რომელიც დაკონკრეტებასა და დასაბუთებას მოითხოვს: „ნიბელუნგების" სიღრმეებს ვეფხისტყაოსანს ვერ შევადარებ. აფორიზმებში კი არის სიბრძნე, მაგრამ . . ." თუ რესპონდენტს „ნიბელუნგები" წაკითხული აქვს (რაშიც, მართალი გითხრათ, ძალიან ეჭვი მეპარება), იგი უსათუოდ დაასახელებდა ამ უკვდავი ნაწარმოების (XIII) ორსავე სიღრმეს: პერსონაჟთა თვითდამკვიდრების ყოვლისწამლეკავ ნებასაც, რომელიც არ ერიდება დაპირისპირებას მოვლენათა რკინისებურ წინასწარგანსაზღვრულობასთან და რომელიც, ყოველივე სხვასთან ერთად, შურისგების ასევე უკანდაუხეველ სწრაფვას მოიცავს, და ერთგულების ასეთსავე უსაზღვრო პათოსსაც. იმის დასაბუთებას, რომ ვეფხისტყაოსანში სიღრმე არაა, რესპონდენტს ვერ მოვთხოვთ, რადგან იმის დემონსტრირება, რომ სადღაც რაღაცა არ არის, უფრო ძნელი გახლავთ, ვიდრე იმის ჩვენება, რომ სადღაც რაღაცა არის. რაც შეეხება განცხადებას, რომ რუსთაველის აფორიზმებში „კი არის სიბრძნე, მაგრამ...", მის თაობაზე ავტორს უნდა შევნიშნოთ, რომ ეს აფორიზმები იმით კი არაა მნიშვნელოვანი, რომ სიბრძნეს შეიცავს, არამედ იმით, რომ გამოხატავს იმ მორალურ პოსტულატთა სისტემას, რომლებზედაც აგებულია ერთ-ერთი მცირემასშტაბიანი, მაგრამ სრულებით ორიგინალური და თვითმყოფადი ცივილიზაცია, რომელსაც ე.წ. კლასიკური ხანის ქართული ცივილიზაცია ეწოდება. თუ რ. სტურუას ჰგონია, რომ, მაგალითად, აფორიზმი „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი" საყოველთაოდ გაზიარებული უალტერნატივო პოზიციაა სიკვდილსა და სირცხვილს შორის არჩევანის საკითხში, იგი ძალიან ცდება. არსებობს ალტერნატიული „აფორიზმიც", „ჯობს ხუთი წუთის განმავლობაში ლაჩარი იყო, ვიდრე სამუდამოდ მკვდარი" და რუსეთში ნამსახური ერთი „სუპერძალელი" დიპლომატის გარითმული სიბრძნეც „better be red than dead" (ჯობს წითელი იყო, ანუ საბჭოეთისაგან დაპყრობილი იყო, ვიდრე მკვდარიო). ისეთი მორალური მრწამსიც, რომელიც გამოთქმულია ტაეპებში „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა" (შეადარე პოპულარულ რეკლამას: დაემორჩილე წყურვილის გრძნობას, დალიე „სპრაიტი") ან „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა" არ არის ადამიანისათვის შესაძლებელი ერთადერთი პოზიცია ამ ცხოვრებაში. ეს იმ საზოგადოებაში აღიარებულ ღირებულებათა და მცნებათა გამოხატულებაა და ფორმულირებაა, რომელიც ქართველი ერის განსაცდელითა და ბრძოლით სავსე ისტორიამ შეიქმნა რუსთაველამდე და გადასცა საუკუნეებს რუსთაველის შემდეგ, ხოლო მათი ღირებულება იმაშია, რომ ამ საზოგადოების იდეოლოგიურ საფუძველს ქმნიან და ამ საზოგადოების ხარისხს ასახავენ. ეს გახლავთ სხვათა შორის იმის ერთ-ერთი საფუძველიც, რომ ძალიან ცნობილი და აღიარებული ინგლისელი ლიტერატურისმცოდნე (მისი წიგნი საგმირო პოეზიაზე რ. სტურუას ნახსენები აქვს ამ ინტერვიუში) სხვა წიგნში წერს, რუსთაველს „სათქმელიც აქვს და თითქმის სახარებად საქადაგებელიცო" (He has a message, almost a gospel. M. Bowra, Inspiration and Poetry).

ამის შემდეგ რესპონდენტი გვეუბნება, ვეფხისტყაოსანს რომ ვკითხულობ, „სულ ვეჯახები რაღაც კედელს, რომლის იქითაც არაფერიაო". „მეჩვენება, რომ ესაა ირონიული ნაწარმოები ქართულ ზნე-ჩვეულებებზე, რადგან ავტორი პირდაპირ ვერ წერს ქართველების სიმდაბლეზე (ხაზი ჩემია ნ.ნ), რომანტიზმით უკეთებს კონტრასტს ჩვენს ცხოვრებას. ქართველი რომ კითხულობს, პრინციპში უნდა გაეცინოს, არ უნდა დაიჯეროს ტექსტი: (ხაზი ახლაც ჩემია და რატომ, ამას ქვევით მოგახსენებთ. ნ. ნ.). წარმოიდგინეთ, ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა იყო, რომ პირდაპირ საქართველოც ვერ ახსენა და შემოიყვანა არაბები, ინდოელები" (აქ კი რესპონდენტს ეშლება: რუსთაველს იმიტომ შემოჰყავს უცხოელები, რომ თავის მწვავე პოლიტიკურ თემაზე - მეფე ქალისა და მისი მეუღლის უფლებრივ ურთიერთმიმართებაზე - მხოლოდ ალეგორიით შეუძლია საუბარი). შემდეგ კი სიტყვა ინტერვიუერს ეკუთვნის, რომელიც ან აყოლილია რ. სტურუას სტილს, ან რესპონდენტთან ფრიად საგულისხმო მენტალურ ნათესაობას ამჟღავნებს: „რელიგიური ან პოლიტიკური ნიშნით, რომ გადაიტანოთ სცენაზე (ვეფხისტყაოსანი), ბეწვის ხიდზე შედგებით, რადგან რუსთაველით ამაყი ქართველები ირონიას ვერ გაიგებენ და ინკვიზიციის კოცონები აბრიალდებაო". (სად ნახა ინკვიზიციის კოცონები საქართველოში „ინკვიზიციის ... ალი ან იუმორისა და ირონიის გრძნობას მოკლებული ქართველები, იგი არ აზუსტებს). ამ კითხვას ინტერვიუს ყველაზე საინტერესო ადგილი — რეჟისორის შემოქმედებითი გეგმა — მოსდევს:

„ამიტომაც მოვიგონე პერსონაჟი - კაცი, რომელიც ვერ იტანს ამ წიგნს (ვეფხისტყაოსანს), მაგრამ ნაწარმოებს დგამს იმისათვის, რომ აუხსნას ქართველებს ეს იდიოტიზმი. არ შეიძლება დაიჯერო, რომ ეს არის შენი ენციკლოპედია, რომელიც გამოხატავს ქართულ სულს... არანაირ ქართულ სულს არ გამოხატავს, რადგან ლაპარაკია მხოლოდ იდეალებზე, რომანტიზმზე და არც ერთი სიტყვა არაა სიმართლის (იდეალი რომ დიდი სიმართლეა, სახელდობრ, ადამიანის სწრაფვისა და მიზანსახვის დედაარსია, მისი რეალიზაცია-ვერრეალიზაციის დეტალები კი შედარებით პატარა სიმართლეა, ეს რ. სტურუას, როგორც ჩანს, არ ჰსმენია). პერსონაჟი, რომელიც ყველაფერს აბითურებს (საუბარია რეჟისორის მიერ შეთხზულ ზემოხსენებულ პერსონაჟზე ნ.ნ.) ცინიკოსი კი არ არის, მეცნიერია, რომელიც შეწუხებულია იმით, თუ რატომ ითვლება ეს წიგნი ქართული პოეზიის, აზროვნებისა და ფილოსოფიის!) ერთადერთ (ხაზი ჩემია. ნ. ნ.) შედეევრად (ვაჟა ფშაველას, ბარათაშვილის, გურამიშვილის არსებობაც რესპონდენტს, როგორც ჩანს, ან არ ჰსმენია, ან არ სჯერა. რაც შეეხება ფილოსოფიას, რუსთაველი ფილოსოფოსი არაა, არამედ პოეტი და რომანისტია). ამ გაოგნებაში ნელნელა გვებადება აზრი, რომ ეს კაცი რაღაცას გვატყუებს, გვიშლის ბოლომდე მივყვეთ ამ ამბავს, სიუჟეტს, ყველაფერს ირონიულ კომენტარს უკეთებს. გმირებიც სულ კონფლიქტში არიან მასთან და ბოლოს, უცბად, ხვდები, რომ მისი ეს უარყოფა შენში იწვევს თანაგრძნობას, სიყვარულის სურვილს... ხვდები, რომ ეს კაცი სპეციალურ ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ შეგვაყვაროს ნაწარმოები, და როცა მიზანი მიღწეულია, ის ცუდად ხდება, რადგან უჭირდა ყოველივე ამის თამაში".

„დასაწყისში ასეთი ეპიზოდია: წიგნი უჭირავს ხელში და ამბობს: „აქ არის ქართული სული?" მოისვრის და გაიფანტება ფურცლები. ნებისმიერი მაყურებელი ჩავარდება შოკში. ის კი განაგრძობს: ასეთი ბუტაფორია შვიდი მაქვს ყუთში გადასაყრელიო..."

„...პიესა იმაზეა, რომ თუკი ჯერ კიდევ გვიყვარს საკუთარი თავი, სამშობლო, სხვანაირად უნდა მოვიქცეთ, თავიდან უნდა გადავწეროთ ჩვენი ისტორია (რა მიმართულებით უნდა „გადავწეროთ", რესპონდენტი არ აზუსტებს: ისე, რომ მის ნევრასთენიურ პერსონაჟს მოვაწონოთ? მისი დეჰეროიზაცია მოვახდინოთ? მისგან ამოვშალოთ მსხვერპლი, გამარჯვება, დამარცხება, მათი ურთიერთგანსხვავება და მიზანსახვა საერთოდ?), გარედან უნდა შევხედოთ ჩვენს მეფეებს და ვიფიქროთ იმაზე, რომ კარგი თვისებები ძალიან ცოტა გვაქვს" (რომელია ის „ცოტა" კარგი თვისებები, რაც გვაქვს, და ის ბევრი, რომელიც არ გვაქვს, რესპონდენტი არ აკონკრეტებს).

ამის შემდეგ ინტერვიუერი სვამს ღრმააზროვან კითხვას, შეიძლება თუ არა „პოლიტიკური თეატრის ელემენტები" დაემყნას „მატრიარქალურ სახელმწიფო მმართველობის ფორმებზე" (მან, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ქალის მეფობა, პრეზიდენტობა ან პრემიერმინისტრობა არ ნიშნავს სახელმწიფოს მმართველობის მატრიარქალურობას), ხოლო ზემოგადმოცემული შემოქმედებითი გეგმით აღტყინებული რესპონდენტი ასევე ბრძნულად პასუხობს: „-" სამი ქალი თამაშობს როლს (როგორც ჩანს, იგულისხმებიან თინათინი, ნესტანი და თამარ მეფე, რომელიც პოემაში „შეფარვით" არის ნაქები). სულ ასე იყო ჩვენს ისტორიაში, ქალი თამაშობდა მთავარ როლს" (რაზე მეტყველებს ეს ფაქტი, ვეფხისტყაოსნის ევენტუალური დამდგმელის აზრით, — ქალის დიდ მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიისათვის თუ კაცის უმნიშვნელობაზე - იგი არც ამჯერად აზუსტებს).

ბუნებრივია, რომ რ. სტურუას ამ ინტერვიუს საზოგადოების აღშფოთებული გამოხმაურება მოჰყვა (ჯერ ა. თოთაძის წერილი, მერე სხვათა). შეშფოთდნენ არა მხოლოდ იმის გამო, რომ რ. სტურუას „აზრი" ვეფხისტყაოსნის შესახებ დღეს, როცა საქართველოში ჩვენთვის ჯერ თითქმის უცნობი პოპკულტურის წყალწყალა ნაკადი მოდის, შესაძლებელია მართლაც ამ პოემას თანამედროვეობასთან ნაკლებ შეთავსებადი

რეჟისორი ციხეში იფურთხება

თვისებები აღმოაჩნდეს, არამედ იმის გამოც, რომ დღევანდელ მსოფლიოს ყველაზე ანტიქართულ ქვეყანაში — საქართველოში — ცნობილი რეჟისორის ეს ნებიერი გაკუნტრუშ-გამოკუნტრუშება რუსთაველის სახელზე შეიძლება ანგაჟირებულ ტელევიზიათა ფართო კომპანიის დასაწყისი აღმოჩნდეს. როგორც ვეფხისტყაოსნის სპეციალისტი, თავს უფლებას მივცემ, ჯერ ერთი, ავუხსნა მკითხველს, რით და რატომ არის რუსთაველი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მნათობი მსოფლიო პოეზიის ხომლში, მეორეც, მას ჩემი ახსნა შევთავაზო იმისა, თუ საიდან, როგორ და რა ფსიქოლოგიური გზებით ჩნდება (სამწუხაროდ — სავსებით კანონზომიერად ჩნდება) ის გულუბრყვილო, მაგრამ ძალიან ღვარძლიანი ნიჰილიზმი ყოველივე ქართულისადმი, რომელსაც დღეს არაერთ თუნდაც ქართული განათლების მქონე ადამიანში ვხვდებით.

„ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ხარისხი: რა კრიტერიუმებით იზომება ე.წ. „დიდი ლიტერატურის“ ღირსება, საბედნიეროდ, ცნობილია: ეს გახლავთ იმ ე.წ. „ადამიანური სინამდვილის“ (გრძნობების, პრობლემების, ურთიერთობების) მნიშვნელოვნება, მასშტაბი, სიმძაფრისა და სიღრმის ხარისხი, რომელსაც ეს ქმნილება ასახავს ჩემს (ანუ მკითხველის) გარეთ და ჩემში, ერთის მხრივ, და მათი გამოსახვის სიმართლე ანუ სისწორე, ფსიქოლოგიური სიზუსტე, დამაჯერებლობა მეორეს მხრივ. „ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტურადაც და თემატურადაც ე.წ. უკიდურესი („ექსტრემალური“) სიტუაციების, უმძაფრესი ემოციებისა და ვნებების სფეროში ტრიალებს. ასეთია, მაგალითად, სიყვარული (რომელიც, როგორც ცნობილია, ლიტერატურისათვის ერთ-ერთი ყველაზე სალი „სასინჯი ქვაა“ და ყველაზე ძნელი „საჯილდაო ქვაა“), მხედრული გზნება, პოლიტიკური ვნებათაღელვა, ტრიუმფი და სასოწარკვეთა, დეპრესია, მეგობრობის ინტენსიური ემოცია და სხვა. რუსთაველს ეს უკიდურესი გრძნობები და სიტუაციები —სიუჟეტურადაც და ფსიქოლოგიურადაც (ანუ მათი რაგვარობისა და მათი დინამიკის ხატვის სიზუსტის მხრივ) სავსებით დაუფლებული აქვს (რაც მისი პოემის ხარისხის შესაფასებლად პროფესიონალისთვისთვის, არსებითად, საკმარისია). არ უნდა შევცდეთ (და რეჟისორი, რომელსაც, მისი სიტყვით, ტექსტი არ ესმის, ჩემი ვარაუდით, სწორედ ამაში შეცდა) და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჰიპერბოლური პოეტური ტროპების (ძირითადად, მეტაფორების) მდიდარი აქსესუარი, რომლითაც რუსთაველი სიყვარულის „ფეთქებად ძალას“ (თ. მანის გამოთქმა გახლავთ) გამოსახავს, ფსიქოლოგიური რეალიზმის ჩარჩოებში ვერ ეტევა. სრულებითაც არა! მაგალითად, როცა ნესტანთან თავისი პირველი პაემნის ამბავს ჰყვება, ტარიელი თავის განცდას ასე გადმოსცემს:

„შევე, წავდეგ ნოხთა პირსა, მე დამიწყო ცეცხლმან შრეტად (ტანჯვის ცეცხლი გამინელდა)

გულსა ბნელი გამინათლდა, ზედა ლხინი ადგა სვეტად.

მას ბალიში შემოუგდო, მზისა შუქსა ჰგვანდა მეტად,

ჩემგან პირსა იფარვიდა, აიხედის წამის ჭვრეტად“.

„სვეტი“ აქ, ცხადია, ნათლის სვეტის მიმნიშნებელი მეტაფორაა, რომელიც სულის უმაღლეს გალაღებას გამოხატავს. მაგრამ ის, რომ ეს ტრიუმფალური მეტაფორა ტარიელის გრძნობათა ევოლუციის სწორედ ამ მომენტშია გამოყენებული, არის ინდივიდუალური დეტალი — ის ძირითადი იარაღი, რომელიც პერსონაჟის განცდისა და მოქმედების რეალურ ფსიქოლოგიურ ნახაზს, ნაწარმოების ადამიანურ სიმართლეს ქმნის.

მოვიყვანთ რუსთაველის, როგორც სიყვარულის მხატვრისა და პოეტის, მეთოდის კიდევ ერთ შტრიხს. ტარიელს ნესტანმა წერილით სიყვარული გაუმხილა მისი სიყვარულის პასუხად, თან დიდი საქმე — ხატაეთში ომი დააკისრა, რითაც მის პოლიტიკურ ამბიციას მიჰმართა. ეს წერილი ტარიელს მაშინ მისდის, როცა იგი ტოლებთან ნადიმად ზის. როგორია მისი რეაქცია იმ შემთხვევაში თუ იგი, როგორც იტყვიან, „ა“ კლასის ადამიანია და არა ამბიციას მოკლებული და უღიმღამო? იგი ასეთია:

„პირველ-გაჭრისა პირება, მერმე დაწყნარდეს ცნობანი (ჯერ ველად გაჭრა მომინდა, შემდეგ გონება დამიწყნარდაო)

ჩემთა სწორთაგან იყვნიან ჩემს წინა ნადიმობანი.

მაგრამ დამშლიდეს ლხინთაგან სურვილთა დიადობანი.

ზოგჯერ შემცვიან პატიჟთა (ტანჯვა მომიცავდა ხოლმე), ვთქვი

საწუთროსა-გმობანი“

ზემოთ ვთქვი, რომ „ადამიანური სინამდვილე“, რომელიც ლიტერატურის საგანია, ჩემს გარეთაცაა და ჩემს შიგნითაც. გარესინამდვილესთან შეხვედრა ჭეშმარიტად მხატვრულ ნაწარმოებში მე იმით მსიამოვნებს (ესთეტიკურ ტკბობას მანიჭებს), რომ ორიოდე უცაბედი დეტალის მეშვეობით მე სწრაფად და ძალდაუტანებლად ვცნობ და, ამდენად, ვიმეცნებ, ვითავისებ სინამდვილის რაღაცა ისეთ მონაკვეთს, რომელიც მაინტერესებს (სხვაგვარად სიამოვნებას ვერ ვიგრძნობ) და რომელიც აქამდე ჩემს თვალწინ რაღაც ბუნდოვანი, გამოუკვეთავი სურათისა თუ წარმოდგენის სახით ცურავდა. ასე ჰყავს რუსთაველს დახატული ფატმანი და მისი სამყარო (ასე რომ ფატმანი მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი ხასიათია, რომელიც რომანისტის ხელითაა დახატული. ჯონ გოლსუორთი პირველ ასეთ ხასიათებად თვლიდა ჰამლეტს და პოლონიუსს). ჩემს შიდასინამდვილესთან შეხვედრა კი იმით მსიამოვნებს (ანუ ლირიკის ესთეტიკური აღქმა იმის წყალობით მაქვს), რომ ეს ლირიკა სახეებით (ძირითადად-მეტაფორებით), მუსიკალობით, მედიტაციის მიმდინარეობით აცოცხლებს, აქტივაციას უკეთებს რაღაცა მანამდე მთვლემარე შინაგან უნარებს, სწრაფვებს, ჩემში „თურმე“ არსებულ შინაგან სამყაროს, რომელიც ჩემი პიროვნების ჭეშმარიტ სიმდიდრეს შეადგენს. ამ მექანიზმს იმიტომ ვახსენებ, რომ ჩემი შინაგანი ძალების აქტივაციის ეს ფაქტორი თანამონაწილეობს ეპიკური თხზულების ესთეტიკურ აღქმაშიც. სახელდობრ, მკითხველი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიჰყვება თავისი გრძნობით პერსონაჟის გრძნობას, თუ მის შიდაწიაღში არის ის მთვლემარე სწრაფვა, რომელიც გმირში მძაფრად ანთია და მასშიც (მკითხველშიც) გამოღვიძებას ლამობს. თუ მკითხველში არ არის არც პოლიტიკური ამბიცია, არც ომის ჟინი, არც „ა“ კლასის მზეთუნახავის გამოჯწურებისათვის საჭირო შემართება და ა. შ, მაშინ ციტირებული სტროფის ფსიქოლოგიური დეტალები მისთვის უტყვი დარჩება, ის ელიტარული ამაღლებული სიყვარული, რომელიც რუსთაველის თემაა, მას „ოჩოფეხებზე შემდგარ“ ბუტაფორიად მოეჩვენება, ტარიელის სიტყვები ნესტანისადმი

„აწ რასაცა მე მაღირსებ, ხორციელი არა ღირს-ა“

მას ცარიელ ყოფით კომპლიმენტად მოეჩვენება და პოემის გმირ ქალებს უცნაურობად ჩაუთვლის (ისე, როგორც რ. სტურუა უთვლის) იმას, რომ შეყვარებულს ხანგრძლივ საგმირო დავალებას აძლევენ და განშორებას ურიგდებიან. რ. სტურუას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ვერ-გაგების მეორე ფაქტორად, ენის ვერგაგებასთან ერთად, მე ის მესახება, რომ მას სწორედ ის სწრაფვები არ მოეპოვება თავის მთვლემარე შიდაწიაღში, რომელსაც ამ შემთხვევაში რუსთაველი მიჰმართავს. მაგრამ ეს უკვე მისი პრობლემაა და არა რუსთაველისა.

რათა ვითარება უფრო ნათელი იყოს ცალმხრივი განათლების პატრონისათვისაც (ანუ საქართველოში ქართული განათლების არმქონე პირისთვისაც რ. სტურუას სახით) და ფართო მკითხველისთვისაც საერთოდ, ვახსენებ სიყვარულის რუსთაველისეული კონცეფციისა და მისი ხატვის მეთოდის ორ სხვა პარამეტრსაც.

პირველი. რეალისტურად დახატულ ამაღლებულ სიყვარულს რუსთაველის პოემაში თავისი ფონი აქვს მის დროს ქართველ ფეოდალურ წრეში მიღებული და აღიარებული სამეჯნურო დოქტრინის სახით, ანუ იმ აზრის სახით, რომ სრულყოფილი კაცი მხოლოდ რაინდია („მოყმე“, „ჭაბუკი“), ხოლო რაინდი სრულყოფილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სატრფო ჰყავს და ამ სატრფოს ემსახურება, სახელდობრ, ემსახურება საგმირო საქმით და კეთილი საქმით. ამ არისტოკრატიულ სოციალურ ინსტიტუტს იცნობს მხოლოდ დასავლეთი ევროპა და საქართველო. ამ რაინდულ კულტურას საფრანგეთში ეწოდება „კურტუაზული“ ანუ საკარო კულტურა, გერმანიაში — აგრეთვე საკარო კულტურა, ანუ სარაინდო წოდებრივი კულტურა (Ritterliche Standeskultur) ხოლო ამ სიყვარულს „კურტუაზული სიყვარული“ (amour countios) და „საკარო სიყვარული“ (Hofische Liebe). ამ სიყვარულსა და მისეულ ქალის კულტს აუარებელი პირობითობები („კონვენციური ნორმები“) ახასიათებს (ამ ნორმებით ხელმძღვანელობს რუსთაველი, მაგალითად, მაშინ, როცა პროლოგში ჩამოთვლის იმას, თუ რა „ჰმართებს“ (მოეთხოვება) მიჯნურს). რუსთაველი თუმცა იცავს ამ ნორმებს (რომლებიც, რა თქმა უნდა, რომანისტისთვის შემზღუდველია), მაგრამ გმირთა ქცევას ამ ნორმების მიხედვით სრული და უნაკლულოდ ზუსტი ფსიქოლოგიური და სიუჟეტური მოტივებით ავსებს. გმირთა სიუჟეტური პრობლემებიც და, შესაბამისად, მათ განცდათა და მოქმედებათა რომელობა მას შორს გაჰყავს ამ პირობითობათა მოთხოვნების მიღმა. ასე რომ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც რაინდული სიყვარულის რომანი, ძალიან შორს სცილდება რაინდული სიყვარულის მომღერალ ყველა ნაწარმოებს, ტრუბადურთა პოეზიისა (საფრანგეთი) და მინეზინგერთა (გერმანია) ჩათვლით. მეორე პარამეტრი. რუსთაველი (კაცობრიობის ისტორიაში პირველი) ხატავს სიყვარულს, როგორც ამბივალენტურ გრძნობას, ანუ როგორც სულის აღმტაცებელსა და სიამოვნების მომცემ გრძნობას, ერთის მხრივ, და როგორც მტანჯველ გრძნობას, მეორეს მხრივ, სახელდობრ, მტანჯველს არა საწადლის ვერმიღწევის გამო, ვთქვათ, სატრფოსთან განშორების დროს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თავისი გაუსაძლისი სიძლიერის გამოც, თვით თავისი ყველაზე მაღალი აპოთეოზის დროს. ამბივალენტურია ავთანდილის მიერ თვით მზის აღქმა. რომელიც პოემაში თინათინის განმასაზიერებელი სახე-სიმბოლოა, ისევე, როგორც ვეფხია ნესტანისა (დეტალებზე აქ ვერ ვიმსჯელებთ). სიყვარულის ამბივალენტური ხასიათი მეცნიერებაში ზიგმუნდ ფროიდის აღმოჩენაა (XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე). ამ პატარა ცნობასთან დაკავშირებით წუთით ზურგს შევაქცევ მოზარდ აუდიტორიას, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, ჩვენს მთავარ აუდიტორიად მეგულება, და პირადად მივმართავ ანცი კრიტიკით გატაცებულ რეჟისორს. რაკი რუსული განათლება გქონიათ, ალბათ, გეხსომებათ ტატიანას სიზმარი „ევგენი ონეგინიდან“ (1830-იანი წლები). იქ ერთი დეტალია, როცა ქალწული სიზმარში ხედავს მყიფე საგანს — თხელი ყინულით შეკავშირებულ ორ წკირს, რომელზეც გასვლა უწევს, როგორც ხიდზე. მყიფე (მსხვრევადი) საგნის დასიზმრება, როგორც ქალწულის ქვეცნობიერების ერთ-ერთი ელემენტი, იმავე ზიგმუნდ ფროიდის აღმოჩენაა მეცნიერებაში. მისი დაახლოებით 70 წლით უფრო ადრეული დანახვა ქალწულის სულში პუშკინს ფსიქოლოგიური ინტუიციის გენიალურ შედეგრად ეთვლება (სავსებით სამართლიანად). ამგვარადვე, თუ ფროიდი იცით და ამავე დროს რომანის კითხვისთვის საჭირო შინაგანი ყურადღება შეგწევთ, რად უნდა გიშლიდეთ გენიალური ფსიქოლოგიურ-ფსიქოანალიტიკური შტრიხის დანახვას XII საუკუნის თხზულებაში მხოლოდ ის, რომ ავტორი ქართველია და მის გენიალობაზე ლაპარაკი შეიძლება ვინმემ ცუდ ტონად ჩაგითვალოთ?

ამ წესით ხატავს რუსთაველი სხვა გრძნობებსა და კოლოზიებსაც, რომლებიც მისი პოემის თემა ან სიუჟეტური მასალაა. ფსიქოლოგიური რეალიზმი მისთვის გრძნობათა და ადამიანთა ხატვის შეუვალი კანონია, ხოლო ფართო გაქანების, ელვარე ტროპიკა (ძირითადად, მეტაფორები) ამ ფსიქოლოგიურად რეალისტურ დეტალთა გამოსახვის ასეთივე თითქმის უნივერსალური ფორმა. პირველის საილუსტრაციოდ დავიმოწმებ, მაგალითად, ნევროპათოლოგ პონდოეკის (ძირძველი თბილისელის, ეროვნებით სომეხის) მიერ ჩატარებულ ანალიზს დეპრესიაში ტარიელის ჩავარდნას მთელი ხანგრძლივი პროცესისა, რომელიც, ავტორის დასკვნით, ზუსტად და სრულად ასახავს ამ უბედურების კლინიკურ სურათს (დაპეჭდილი იყო ჟურნალ „მნათობში“). მეორის მაგალითად მოვიყვან მეტაფორას:

„ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვა ღვთისა ეცა გორთა (ანუ: შოკში ჩავვარდი,

თითქოს თავს ცა დამემხო. მთელმა პეიზაჟმა ჩემს თვალში იერი იცვალა. — ეს ცვლილება ისეთი უეცარი იყო, რომ იგი, თითქოს, ტალღასავით შეეხალა პეიზაჟს და უცებვე მიაღწია მთათა თხემებს).

დავასკვნით: რუსთაველის თამამი ჰიპერბოლიზმი და ელვარე ტროპიკა მკაცრად და ზუსტად მოქცეულია ფსიქოლგიური რეალიზმის ჩარჩოში. მისი, როგორც მაგალითად, ხელოვნების საყრდენია დეტალი (ფსიქოლოგიური დეტალი), ანუ: მისი პერსონაჟის გრძნობის, განცდის, ფსიქოლოგიური მოტივის რომელობა ყოველთვის მხატვრული შტრიხია, ხოლო მათი გამოსახვის ფორმა მეტაფორულია, ზოგადად — ტროპულია (და არა უბრალოდ, დასახელებითი), უნიკალურად ფერადოვანი და ელვარე.

ამით (მაგრამ არა მხოლოდ ამით) არის განპირობებული რუსთაველის უნიკალური მხატვრული მიღწევა: იგი რეალურად (სახელდობრ, ფსიქოლოგიური რეალიზმით) ხატავს იდეალურ, სრულყოფილ ადამიანს (ადამიანებს). ამ უნიკალური მიღწევის მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ თავის პერსონაჟებს რუსთაველი ხატავს მათ მოტივაციათა და განცდათა, მათი ინტერესებისა და ამოცანების საკმარისად სრული კონტექსტის ფონზე, ანუ იგი აჯერებს მკითხველს, რომ შესაძლებელია და ბუნებრივია, მდიდარი ბუნების ადამიანის ცხოვრების შინაარსს ეს გრძნობები და ინტერესები ავსებდეს.

„ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა. დიდი ხანია ბანალურ ჭეშმარიტებად არის ქცეული გამოთქმა, რომ რუსთაველი დასავლური და აღმოსავლური აზროვნების მიჯნაზე დგას. მოკლედ ვიტყვი: რუსთაველს აქვს ნათელი, რაციონალისტური და ოპტიმისტური დასავლური ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც ადამიანს მშვიდი სიბრძნისა და თავდაუფლებისაკენ მოუწოდებს. ამავე დროს იგი საუცხოოდ იცნობს აღმოსავლურ (არაბულ-სპარსულ) აზროვნებასაც, პირველ რიგში — მხატვრულ ლიტერატურას. ამ ლიტერატურის სულისკვეთება ძირეულად განსხვავებულია დასავლურისაგან მრავალი ნიშნით, მათ შორის იმით, რომ სიბრძნის ზემოხსენებული კულტის ნაცვლად მის დიდ ნაწილში, პირიქით, აფექტის, წრესგადასული გრძნობის, თავდავიწყების კულტი ბატონობს. თუ, დასავლური თვალსაზრისით, ადამიანი მით უფრო ღირსეულია, რაც უფრო მეტად ეუფლება თავის გრძნობებს, აღმოსავლელი პოეტის თვალში მას ღირსებას მატებს წმლეკავი და გამანადგურებელი გრძნობის უნარი, რომელიც მას თავს ავიწყებს და მონად იხდის. რუსთაველი აფექტის ამ კულტსაც იცნობს და მასაც ადგილს უთმობს თავის გმირთა სახეების შექმნაში: მისი იდეალური გმირების მიუცილებელი თვისებაა არა მარტო სიბრძნე, არამედ სისხლის ცრემლებიც, როგორც დაუძლეველი და გამანადგურებელი გრძნობების გამოხატულება, „ცეცხლთა დებაც“ და დაბნედაც. ამგვარად, აფექტის უნარი რუსთაველის თვალშიც გმირის დადებითი მახასიათებელია.

ეს ორი პოზიცია — ერთი დასავლური ყაიდისა და მეორე აღმოსავლურის — თავისი ბუნებით შეუთავსებელია. მაგრამ რუსთაველი არც ცდილობს მათ შეთავსებას, შერიგებას ან მათ შორის წინააღმდეგობის შერბილებას. პირიქით, ერთსაც და მეორესაც იგი სრულ გასაქანს აძლევს, მათი შესაძლებლობის მაქსიმუმამდე ავითარებს და შლის. შმაგი გრძნობის კულტს იგი კიდევ უფრო ამძაფრებს იმით, რომ ამ გრძნობას მკაფიო და დამაჯერებელ ფსიქოლოგიურ საფუძველს უძებნის პოემის მიმდინარეობის განვითარებაში: იგი სიუჟეტს იმგვარ წარმართავს, რომ შმაგი გრძნობა, რომელიც გმირი მოუცავს, ბუნებრივი და აუცილებელ გამოჩნდეს. და პირუკუ: სიბრძნისა და შინაგანი ჰარმონიის კულტს იგი კიდევ უფრო ამკვეთრებს იმით, რომ დამაჯერებლად გვიხატავს გმირის (ავთანდილი) დაუძლეველ შინაგან ლტოლვას ამ ჰარმონიისადმი, მის სულიერ ბრძოლასა და საკუთარ აფექტებთან ჭიდილს. ამ შინაგანი ბრძოლის ხატვაში რუსთაველს არ ჰყავს წინამორბედი არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში. სწორედ ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ ბუნებრივი ადამიანური საწყისის შეხვედრასა და შეჯახებაშია პოემის ჭეშმარიტი სიცოცხლე. ადამიანი, თურმე, მხოლოდ იდეალშია ის ბრძენი, ჰარმონიული, გაწონასწორებული და ნათელი ფილოსოფიური ოპტიმიზმით შეიარაღებული არსება, რაც იგი, რუსთაველისვე აზრით, უნდა იყოს. სინამდვილეში იგი უკონტროლო, ირაციონალურ განცდა-ვნებათა სათამაშოა, რომელთაც რუსთაველი ზედმიწევნით იცნობს და ამიტომ უკიდურესი ფსიქოლოგიური სიზუსტით ხატავს. ადამიანის ყველაზე ძნელი ამოცანაა საკუთარი სულის აუხსნელ სიღრმეზე გაბატონება, საკუთარი უმოქმედო ნაღვლისა და სასოწარკვეთილების დათრგუნვა, რომელიც გარდუვალია, რადგან განსაცდელი და კაეშანი ადამიანის ცხოვრების აუცილებელი თანმხლებია.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

დასასრული. დასაწყისი №16

ერთობლივ სწავლებებს (ბრძოლის სახეობების მიხედვით) ქვედანაყოფებსა და ნაწილებს უტარებენ უკვე გაძლიერების საშუალებებით (არტილერია, დაზვერვის, კავშირგაბმულობის, საინჟინრო-მესანგრეთა და სხვა), საასეულო და საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფების შემადგენლობაში. მათი მსვლელობისას დროის უმეტეს ნაწილს უთმობენ ჯართა სხვადასხვა გვარეობის ქვედანაყოფების მოქმედებების შეთანხმების დამუშავებას, აგრეთვე მათი უწყვეტი ურთიერთმოქმედების ორგანიზებასა და შენარჩუნებას. ეს სწავლებები „ასეული-ბატალიონს“ რგოლში ჩვეულებრივ ცალმხრივია, ბრიგადებთან და დივიზიებთან ჩატარებადი ტაქტიკური სწავლებები კი, როგორც წესი, ორმხრივია, ხოლო იწყებენ მათ განგაშზე წამოდგომითა და დანიშნულების რაიონში გასვლით.

კომპლექსურ სწავლებებს ატარებენ რამდენიმე თემის მიხედვით, რომელთა შინაარსი შეიცავს მოქმედების რამდენიმე ხერხს ან სიტუაციას. მათი მიზანია ტაქტიკური ამოცანების დამუშავება და მომზადების დადგენილი (განსაზღვრული) დონის მიღწევა.

შესამოწმებელი (ჩასათვლელი) სწავლებები მიზნად ისახავს ქვედანაყოფის ან ნაწილის საბრძოლო განსწავლულობის განსაზღვრას. მათ ატარებენ კომპლექსური თემის მიხედვით, როგორც წესი, უცნობ ადგილზე, ვითარების თანდათანობით გართულების პირობებში, ზოგიერთ ეტაპზე საბრძოლო სროლით. ქვემოთ ცხრილში მოყვანილია ტაქტიკური სწავლებების რაოდენობა წელიწადში და ხანგრძლივობა, რომლებიც ახასიათებენ აშშ არმიის ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მომზადების ინტენსივობასა და დონეს.

1980-იან წლებში ამერიკულ არმიაში ფართოდ იყო დანერგილი პირადი შემადგენლობის კოლექტიური პრაქტიკული საბრძოლო მომზადებისთვის სასწავლო პროცესის ორგანიზების ისეთი ფორმები, როგორიცაა საველე გროვები, სწავლებების ციკლები (მომზადების კურსები), მეცადინეობები გადაბრუნებული ციკლით (სასწავლო ამოცანების დიდი ნაწილის ლამის საათებში გადატანით), სპეციალური სწავლებები. ხოლო ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების მომზადების დონის შესაფასებლად მიღებული ჰქონდათ საკონტროლო სწავლებების შედეგად შემდეგი შეფასებების კრიტერიუმები: „ბრძოლისთვის სავსებით მზადმყოფია“, „ბრძოლისთვის ძირითადად მზადმყოფია“, „ბრძოლისთვის შეზღუდულად მზადმყოფია“, „ბრძოლისთვის მზად არ არის“.

ჩვენ შეგვეძლო თითოეული ეს ცნება უფრო ფართოდ განგვეხილა და დაინტერესებული მკითხველისთვის შეგვექმნა გაცილებით უფრო სრული წარმოდგენა აშშ (და ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს) სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადების შესახებ, მაგრამ საგაზეთო წერილის მოცულობა და გაზეთის სპეციფიკა არ არის გამიზნული ყოველ კონკრეტულ საკითხზე ასეთი ვრცელი და დეტალური საუბრისთვის. ყოველივე ზემოთ მოთხრობილიდან ჩვენი მკითხველისთვის სავსებით ნათელი უნდა იყოს ის, სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადება ქვეყნის სამხედრო დოქტრინის ძირითადი დებულებებიდან გამომდინარე კარგად მოფიქრებული, ორგანიზებული, დაგეგმილი, შრომატევადი და დროში გაჭიმული პროცესი. როგორც ქვემოდან ზევით (ათეულიდან და



ოცეულიდან ბრიგადისა და დივიზიისკენ) იზრდება საჯარისო ერთეულებში საბრძოლო და უზრუნველყოფის ქვედანაყოფებისა და ნაწილების (სატანკო, მოტოქვეითი, ქვეითი, სადაზვერვო, საინჟინრო, კავშირგაბმულობის, საარტილერიო, ნალმსატყორცნების, ტანკსაწინააღმდეგო, საზენიტო, მედიკურ-სანიტარული, სარემონტო, მომსახურების და ა.შ.) რაოდენობა, ისე მათში პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების სახეობები და რიცხვი. შესაბამისად თანდათანობით რთულდება ქვედანაყოფების და ნაწილების საბრძოლო შეთანხმების ამოცანის დამუშავება. ხოლო ასეთი შეთანხმებულობის გარეშე თანამედროვე ზოგადსაჯარისო ბრძოლაში გამარჯვების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, შესაძლოა დავინახოთ, რომ „წვრთნის და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში ამერიკელი ოფიცრებისა და სერჟანტების მიერ ოთხი ქართული ბატალიონის მომზადება წარმოადგენს თანამედროვე სახმელეთო ჯარების მოთხოვნებისთვის მეტად არასაკმარის და საკმაოდ დაბალი რგოლის (დაბალი დონის) მომზადებას. გარკვეული გარეგნული ეფექტებით (სამწყობრო გაწვრთნილობა, კარგი კვება და საყოფაცხოვრებო პირობები, რეინჯერების მომზადების მარტივი ელემენტების შემოტანა) შესაძლოა მოტყუვდნენ მხოლოდ სამხედრო საქმეში ჩაუხედავი და თავის მოტყუებისთვის მზადმყოფი ადამიანები, რომლებიც სასურველს რეალურად წარმოიდგენენ ხოლმე. რეალობა კი სულ სხვა რამეა, უფრო მკაცრი და ზოგჯერ უფრო დრამატულიც.

მეორე, არავისთვის საიდუმლო არ უნდა იყოს, რომ უკანასკნელ წლებში სამხედრო საქმეში ჩვენში განსაკუთრებით აქტიურად აფუსფუსდნენ ის ადამიანები, ვისთვისაც ეს თემატიკა იქცა ნატოს ბლოკის ქვეყნებში „გულაობის“ საშუალებად. ამავე დროს ჯერ კიდევ 1991-1995 წლებში საქართველოში გამოდიოდა სამხედრო-ისტორიული ჟურნალი „მხედარი“ (სულ გამოვიდა ექვსი თუ შვიდი ნომერი), რომელშიც შუქდებოდა ანტიკური ხანის, შუა საუკუნეების, ახალი ისტორიული პერიოდის, I და II მსოფლიო ომების, თანამედროვე ლოკალური ომების გამოცდილება, საქართველოს ისტორიული და 1918-21 წლების სამხედრო საქმიანობა.

ჩვენ სწორედ ამ ჟურნალისთვის დავიწყეთ 1991 წლიდან აშშ შეიარაღებული ძალებისა და თანამედროვე სამხედრო საქმის შესწავლა, ხოლო 1992-94 წლებში გამოვაქვეყნეთ ამერიკული არმიის საბრძოლო გამოყენების კონცეფციის „საჰაერო-სახმელეთო ოპერაცია (ბრძოლის)“ ძირითადი დებულებები და ამ კონცეფციის რეალიზებისთვის არსებული საშტატო ორგანიზაცია საარმიო კორპუსი — ცალკეული ჯავშანსაკავალერიო პოლკი — მექანიზებული (ჯავშანსატანკო) დივიზია — ბრიგადა — ბატალიონი — ასეული რგოლებში მათი ძირითადი შეიარაღება და შეიარაღების ნიმუშების ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები ოპერაციულ-ტაქტიკური რაკეტებიდან საიერიშო შაშხანებამდე და შორსმსროლელი საზენიტო სარაკეტო კომპლექსებიდან დაბლამფრენ საჰაერო მოწინააღმდეგესთან ბრძოლისთვის განკუთვნილ საზენიტო არტილერიასა და გადასატან საზენიტო სარაკეტო კომპლექსებამდე („სთინგერი“).

თავად ამ წერილში მოყვანილი მასალები უფრო სრული სახით და დეტალურად ჩამოვაყალიბეთ 1996 წელს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისთვის მომზადებულ ნაშრომში „აშშ სახმელეთო ჯარების დაკომპლექტება და საბრძოლო მომზადება; ოფიცერთა კადრების მომზადება და მათ მიერ სამსახურის გავლა“ (60 კომპიუტერული გვერდი), ხოლო მისი ერთი ეგზემპლარი პრეზიდენტის აპარატსაც მივაწოდეთ. ხელისუფლების მხრიდან თუნდაც ჟურნალ „მხედარისთვის“ სათანადო დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში, დღესდღეობით სამხედრო ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის, აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოთა სამხედრო მშენებლობის გამოცდილების შესწავლის, ანალიზისა და ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო რეკომენდაციების გამომუშავების საქმე გაცილებით წინ და უკეთესად იქნებოდა. ამის სანაცვლოდ ხელისუფლებამ აბსოლუტურად უყურადღებოდ დატოვა სამხედრო საქმის დაინტერესებული ადამიანების გულისტკივილი და ფართოდ გაუხსნა გზა ამ სფეროში მედროვე კარიერისტებს, რომლებიც თავიანთ მიზნად მიიჩნევენ არა თავიანთი ქვეყნის, არამედ საკუთარი „ჯიბისა და კუჭის“ სამსახურს და გაცილებით უფრო მეტი ხალისით ემსახურებიან „ფულიან ძიებს“ ნატოს ბლოკის ქვეყნებიდან ან რუსეთიდან, ვიდრე ამ ქვეყნებისგან წიხლდაჭერილ საქართველოს.

საქართველოსადმი სამხედრო „დახმარების“ საკითხში ამერიკელებმაც უარყვეს საკუთარი ჯარების მომზადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი — მოსწავლის გამოცდილებაზე დაყრდნობისა. სწორედ მათი კარნახით მოხდა სამხედრო საქმის მცოდნე ადამიანების ჩამოშორება საქართველოს სამხედრო მშენებლობის სფეროდან და მათ ნაცვლად ამ საქმის უცოდინარი, მაგრამ კარიერის სწრაფად გაკეთების მოსურნე მედროვეობის ამერიკისა და ნატოს ბლოკის სხვადასხვა სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში წაყვანა, იქ მათთვის ნაკლული ცოდნისა და დიდი ამბიციების მიცემა და საქართველოში გამოგზავნა ამ ადამიანების ხელით საკუთარი ინტერესების გასატარებლად. ასევე იქცეოდა და იქცევა რუსეთის ხელისუფლებაც. შესაბამისად უცხოელთა სამსახურში ჩამდგარი ქართველი მედროვეები დუმილს ამჯობინებენ იმის თაობაზე, რომ ჯერ კიდევ 1992 წლის მაისში ეუთოს ეგიდით ტაშკენტში დადებული შეთანხმებით საქართველოსთვის დადგენილი ჯავშანსატანკო ტექნიკისა, და საველე არტილერიის მაქსიმალური რაოდენობები (კვოტები) — 220 საბრძოლო ტანკი, 220 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა და 285 საველე საარტილერიო სისტემა მიზერულადაც კი ვერ აკმაყოფილებს საქართველოს თავდაცვის აუცილებლობის მოთხოვნებს (ამის შესახებ უკვე ბევრჯერ გვქონდა საუბარი) და უდიდეს აღტაცებას გამოხატავენ ამერიკელების დახმარებით სამი მსუბუქ ქვეითი და ერთი სპეციალური დანიშნულების ძალების ბატალიონის აღჭურვისა და გაწვრთნის გამო (ცნობისთვის, 5-მილიონიანი ფინეთის სახმელეთო ჯარების საბრძოლო შემადგენლობაში არის საველე ჯარების 100-ზე მეტი საბრძოლო ბატალიონი — ოთხი სატანკო, ორი-ოთხი მოტოქვეითი, 40 ერთი ქვეითი (მსუბუქი მექანიზებული) და 56 ქვეითი; ლულიანი არტილერიის 55-60 დივიზიონი (იგივე ბატალიონი), პლიუს 60 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა და 790-მდე 120-მმ ნაღმსატყორცნი; 40-45 საზენიტო დივიზიონი; პლიუს ტერიტორიული (ადგილობრივი) თავდაცვის ჯარების 150 ცალკეული ბატალიონი და ასეული.

იმავე ამერიკელებისა და გერმანელების ტექნიკური დახმარების შემდეგად ჩვენმა მეზობელმა თურქეთმა 1990-იანი წლების განმავლობაში მიიღო 1180-მდე საბრძოლო ტანკი (M60 და „ლეოპარდ-1“), 1815-მდე მოჯავშნული საბრძოლო მანქანა (URA-765 და M113), 340 თვითმავალი ჰაუბიცა (6510მმ, 7215მმ და 20311მმ ყალიბისა), რომლებიც შეადგენს 21 სატანკო და 28 მოტოქვეითი ბატალიონის, აგრეთვე 20-24 საარტილერიო დივიზიონის საშტატო შეიარაღებას.

ასე რომ, ქართველებს ბევრი კითხვის დასმა შეგვეძლო ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე ჩვენი „მწვრთნელ-აღმჭურავებისთვის“, მაგრამ თავად ამერიკელებმა და მათმა ქართველმა „კოლეგებმა“ იზრუნეს, რომ ასეთი კითხვები რამდენადმე ხმამაღლა, ბევრის გასაგონად და ამერიკელებისთვის „უხერხულად“ არ გაჟღერებულიყო. ამის გამო ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, ნდობით ეკიდება ქართულ-ამერიკულ სიცრუეს იმის შესახებ, რომ მსუბუქად შეიარაღებული სამოთხი (ან თუნდაც შვიდირვა) ბატალიონი შესძლებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვას. ხოლო რა იქნება მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას, მის ტაძრებს, ქალაქებსა და სოფლებს, მოხუც მშობლებს, ცოლებს, დებსა და შვილებს მართლაც დაცვა დასჭირდებათ უცხოელი მოძალადეებისგან? ნუთუ გვგონია, რომ რამდენიმე მსუბუქ ქვეითი ბატალიონის მებრძოლები მართლაც შეძლებენ მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო ტექნიკით, საველე არტილერიით, საარმიო და ტაქტიკური ავიაციით, ტანკსაწინააღმდეგო, საზენიტო, სადაზვერვო, კავშირგაბმულობის, საინჟინრო და სხვა საშუალებებით გაჯერებული და დაბალანსებული ბრიგადებისა და დივიზიების დამარცხებას? სამხედრო საქმეში ჩახედული ნებისმიერი ადამიანი იტყვის, რომ — ვერ შეძლებენ — და მართალიც იქნება.

ირაკლი ხართიშვილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

ქალბატონო ნინო! ბატონ ედუარდ შევარდნაძეს დიდი ხანია აღარ ვუგზავნით წერილებს, რადგან ვიცით, რომ იმ რეჟიმშიცა და, მით უმეტეს, ამ ახალ საკვირველ რეჟიმშიც მას ჩვენი წერილები „არ მიუდიოდა“ და „არ მიუდის“. როგორც წესი, ჩვენს წერილებში მოსკოვში და ბაქოში გადასაწყვეტი საკითხების მოგვარებას კი არ ვითხოვდით, არამედ ვწერდით და ვითხოვდით საქართველოშივე ჩვენი სკოლებისათვის და სხვა საჭიროებების მოსაგვარებელი საკითხებისათვის ისეთ წვრილმანებს, რაც დიდად გააცოცხლებდა ჩვენს ქართულ ნაყოფის მომცემ ხეს. მაგრამ რა?! თუ ხეს არ დარგავ ანდა თავისთავად აღმოცენებულ ხეხილს თუ არა მოუვლი, რაიმე ნაყოფს მოისხამს განა? რა თქმა უნდა, არ მოისხამს!.. 1967 წლიდან ჰ. ალიევმა და მისმა ხელებდაკაპიწებულმა „ბიჭებმა“ სუკიდან არ მოგვასვენეს, წლობით ჩვენი ქართული სკოლების „გაინტერნაციონალურებაზე“ იმუშავეს. 1972 წლიდან მოყოლებული, ინგილოებმა წყალი ვნაყეთ იმის გამო, რომ ათობით წელი ვუგზავნეთ წერილები ბატონ ედუარდ შევარდნაძეს პატრონობისათვის, მაგრამ სულ ტყუილად: საქართველომ არ მოგვცა მალამო სამკურნალოდ, ხოლო თათარმა ამასობაში გადაგვიარა ისე, როგორც ჰქონდა დაგეგმილი და როგორც სურდა! 25-მდე ქართულ-ინგილოური სოფელი გადააგვარა (ნაწილი გადაგვარდა კახის რაიონში, 20-40-იან წლებშივე, მეორე ნაწილიც ზაქათალისა და ბელქნის რაიონში 50-70-იან წლებში) ენობრივად, ეროვნულად და რელიგიურად. დარჩა გადასაგვარებელი (პატარა სოფლებს თავი რომ დავანებოთ) სამი დიდი მუსლიმანური ქართულენოვანი სოფელი: 2500-ზე მეტ კომლიანი ალიაბადი (ელისენი), 900 კომლიანი სოფელი მოხული და 700 კომლიანი სოფელი ითითალა. ჰერეთის (საინგილოს) ქართველი მოსახლეობა ისტორიულად ქრისტიან საქართველოს მოსწყდა ყიზილბაშ შაჰ-აბასის მიერ კახეთ-ჰერეთის ქართველობისათვის გენოციდის მოწყობის წლებიდან (1614-1617 წლებიდან). 333 წლის განმავლობაში ჩვენი დედას მოწყვეტილი მოსახლეობის „სულიერი მამები“ და „აღმზრდელ-მასწავლებლები“ იყვნენ 1918 წლამდე დაღესტანელი, მერე ჭარ-ბერექნელი ლეკი მოლები. ამიერიდან, ანუ 1918 წლიდან დღემდე, ამ „საქმეს“ თათარი მუსავათ-კომუნისტი — მაუზერისტები ჩაუდგნენ. მშობლიურ ქართულ ენაზე პირველი უმაღლესი განათლებული ინგილოები ჩვენს სოფლებში გამოჩნდნენ 1952 წლიდან. ამიერიდან ყოველწლიურად ყოველ სოფელს თბილისიდან 3-5 დიპლომმიღებული ახალგაზრდა ინგილო გვიბრუნდებოდა, ხოლო 1960 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან ჭკვიანი, კარგი და კეთილი ადამიანების — გიორგი ჩანგაშვილის, გიორგი გამხარაშვილის, ნოდარ ნათაძის, როდამ ჩაჩანიძის, გულაბერ ანანიაშვილის, კოტე ჩოლოყაშვილის,ილია დათუნაშვილის, არსენ ოქროჯანაშვილის და სხვების — გადაწყვეტითა და მოქმედებით, ინგილო მოსახლეობის ისლამის კლანჭებისაგან სწრაფად განთავისუფლებისათვის და ქართულ-ქრისტიანულ კულტურასთან მათი გაცნობა-დაახლოებისათვის დაიწყო ყოველი მუსლიმანური ქართული სოფლიდან 5-10 ახალგაზრდა ინგილო ოჯახის თბილისში და რუსთავში დამაგრება-დამკვიდრება, რაც განხორციელებულ იქნა ძალიან ძნელად: 100 კომლის მაგიერ დამკვიდრებულ იქნა 30-მდე ასეთი ინგილო ოჯახი. ქრისტიანი ქართველი ოჯახების ჩამოსვლას უფრო დიდი მასშტაბი ჰქონდა და ეს პროცესი თავისთავად მიმდინარეობდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ცხოვრებამ დაამტკიცა: ათი დიპლომირებული ინგილოს მომზადებას ბევრჯერ სჯობს და უფრო ნაყოფიერია ერთი მუსლიმანური ინგილო ოჯახის საქართველოში დამკვიდრება... ეს იყო 333 წლის ჰერეთსა (შემდეგში საინგილოსა) და ქრისტიანულ საქართველოს შორის ჩატეხილი ცოცხალი ხიდის აღდგენა!..

სამწუხაროდ, სსრკ-ის დანგრევამ ვერ გვიშველა, პირველ 5 წელშივე თითქმის დაგვენგრა ეს ჩვენი ახალი ხიდი, საყოველთაო გაჭირვება-უმუშევრობამ მანდ დამკვიდრებული ოჯახების ერთი ნაწილი ჩვენს სოფელში დააბრუნა, მეორე ნაწილი, ვისაც ამისი ფინანსური შესაძლებლობა ჰქონდა, ციმბირში და პოლარეთში წავიდა საშოვარზე, 7 თუ 9 მუსლიმანური ინგილო კომლიღა შერჩა თბილისსა და რუსთავს!.. ვერ დავიჯერებთ იმას, რომ ამ ხიდს დღევანდელი ან ხვალინდელი საქართველო აღგვიდგენს! რადგან თბილისში და რუსთავში შემორჩენილი ასეთი ინგილო ოჯახები, ორი კომლის გარდა, სუყველა გამოყრილ-გამორეკილია სამუშაოებიდან და საშინელ დღეში არსებობენ, მათი გამკითხავი არავინაა. ამ ოჯახებმა საარსებო ლუკმის საშოვნელად სამუშაოზე დაბრუნება-აღდგენისათვის ბევრჯერ მიმართეს ზემდგომ ინსტანციებს, როგორც მიმდინარე წელს ისე გასულ და წინა წლებში, მაგრამ არავინ გულთან ახლოს არ მიიტანა, არ დაეხმარა, პირიქით, როგორც თქვენ, ისე სხვებმაც მათ განცხადებებზე არ უპასუხეთ ამ გაჭირვებულ, უპატრონო ინგილო ოჯახებს. სამუშაოზე აღდგენას ან მოწყობას ითხოვდნენ თბილისში მყოფნი სოფელ მოსულიდან, ალიაბადიდან და ითათალიდან. ესენი დახმარებას სთხოვდნენ ზ. ჟვანიას, სახელმწიფო მინისტრებს, ბატონებს ალექსი გერასიმოვს, პირადად თქვენ, ქალბატონო ნინო, თქვენს მოადგილეს ვ.რჩეულიშვილს და ქალაქ თბილისის მერს. მიმდინარე წლის გაზაფხულზე განცხადებებით მოგმართეს, მაგრამ დღემდე მათ არც თქვენგან და არც სხვებისაგან რაიმე პასუხი ან რეაგირებაც არ მიუღიათ. აი, ეს ინგილოებია სოფელ მოსულიდან თბილისში და რუსთავში უმუშევრად დაყრილნი: 5 სულიანი ოჯახის პატრონი, კონტროლის პალატიდან შემცირებული ოთარ ქევხიშვილი — ეკონომისტი, ბუღალტერი; ანდრიაშვილები კახა და თემური, უმუშევრები და მშივრები; სოფელ ალიაბადიდან ჟუჟუნა ბაბალაშვილი, სანიტარული ექიმი, თბილისის სანიტარული ინსპექციის მთავარი ექიმის ჯუღული ახვლედიანის მიერ მოხსნილი, რათა თავისი ნათესავი ამ ადგილზე დაეყენებინა. მან არც ბაბალაშვილის ქალიშვილი მიიღო, სამაგიეროდ სამუშაოზე მიიღო არასპეციალისტები. თქვენთან ერთად, ქალბატონო ნინო, სხვებმაც არ გაუწოდეს დახმარება ამ ოჯახს, სადაც 5 დიპლომირებული უსაქმურად ცოდვილობს, არ დაეხმარნენ აგრეთვე თენგიზ და რუსუდან დათუნაშვილებს, არქეოლოგსა და იურისტს, და გინეკოლოგს. 3 მცირეწლოვანი შვილის მამა ილია ტოლიაშვილი მძიმე და ცუდ დღეშია. მძღოლი და პრაქტიკული თურქული ენის საუკეთესოდ მცოდნე, პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე ნოდარი და ბადრი იაშვილები, თურქული ენის სპეციალისტი და ეკონომისტები, სოფელ ითათალიდან ჯუმბერ ნაცვლიშვილი (ეკონომისტი) და შორენა ბადურაშვილი (ინგლისური ენის სპეციალისტი) უმუშევრად არიან დიდი ხანია. თბილისში და რუსთავში მყოფი ამ ინგილოთა უმრავლესობა გამათხოვრებულ დონემდე არიან მისულნი, გამკითხავი არავინაა. ნეტა ვის სცალია ინგილოსათვის ამ საშინელ განუკითხაობაში, ან ვის ახსოვს ინგილო?!!

ჩვენ, სოფელ მოსულის მცხოვრებთ კარგა ხანია გადაწყვეტილი გვქონდა, რომ საქართველოს ხელისუფალთ აღარ გავუგზავნოთ წერილები რაიმე მოთხოვნებით, მაგრამ ამ ბოლო წლების ამბებმა ბიძგი მოგვცა ეს წერილი გამოგვეგზავნა თქვენთვის:

თქვენ და ბატონ რეზო მიშველაძემ გასული წლის 29 იანვარს ბაქოში ყოფნისას ჩვენი ეროვნული ინტერესები რომ დაიცავით, რაც პირველი შემთხვევაა (მართალია უშედეგო) საქართველოს ხელისუფლების პრაქტიკაში, ამან მაინც ძალიან გაგვახარა, დაგვაიმედა. ვთქვით: ღმერთმა თქვენცა და თქვენნაირი კაი ქართველებიც გაახაროს!

ამ მიმდინარე 2003 წ. 21 ივლისს ჩვენს სოფელში, მოსულში ბაქოდან მოვიდა პრეზიდენტ ჰ. ალიევის მრჩეველი ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ჰადაიათ ორუჯევი, რომელმაც ათასობით ინგილოს მიმართა: „ვიღაც-ვიღაცეები თქვენთან ქრისტიანობენ ამ ბოლო წლებში, ასეთები ძალიან სცდებიან, აზერბაიჯანელ ერს დიდ ღალატს უმზადებენ. ასეთებს ვაფრთხილებ, აგრეთვე თქვენი სოფლის ხელმძღვანელობასა და თავკაცებს ვაფრთხილებ: მათ 3 წლის წინ ბაქოში მომცეს პირობა, რომ სოფელში დახურავდნენ ქართულ სკოლას, და თანდათანობით აზერბაიჯანულ (ე.ი. თათრულ) ენაზე აალაპარაკებდნენ ხალხს, მაგრამ დანაპირები ვერ შემისრულეს. ვიცი, სოფლის თავკაცი ჰუსეინოვი ცდილობდა ჩემი და პარტია „ახალი აზერბაიჯანის“ დავალების შესრულებას, მაგრამ მან ეს ვერ შესძლო, რადგან თქვენგან არავინ დაეხმარა მას! საერთოდ, იცოდეთ: მოეშვით ქართულ სკოლას, ქართულ ენას და ინგილო ახალგაზრდობა მოეშვას საქართველოს. იქ სასწავლებლად ნუღარ აგზავნით ახალგაზრდობას, ყველანი გამოაგზავნეთ ბაქოში ჩემთან, სადაც გინდათ, იქ მოგიწყობთ“. ბევრი ასეთი უსინდისობები და სისულელეები მოროშა ამ კაცმა.

ამ ორმა გარემოებამ ბიძგი მოგვცა და დავწერეთ ეს წერილი იმ იმედით, რომ შეიძლება თქვენს გულგრილობაზე ხელი აიღოთ და დახმარება გაგვიწიოთ. განა ბევრ რამეს გთხოვთ — არა, ძალიან ცოტას, გთხოვთ:

1. ბოლო 35 წელში ჰ. ალიევი საქართველოს თათარს რა დახმარებასაც უწევს, საქართველოს მხრიდან ჩვენთვის ამ დახმარების 10-15% დახმარება და ყურადღება რომ გაეწიათ და მოექციათ, ყელამდე გვეყოფოდა; თქვენთან საუბარში ჰ. ალიევმა მაშინ გითხრათ, რომ უამრავი საქართველოს „აზერბაიჯანელი“ ე.ი. თათარი დაასაქმა და დააწინაურა ძველ და ახალ რეჟიმშიც! გარდა პრეზიდენტის ამ აღიარებისა, დამატებით ჩვენ ისიც ვიცით, რომ ამ თათრებისაგან მან თავისი ფრთების ქვეშ გამოჩეკა ათობით ბიზნესმენი, წინათაც და ახლაც ამ თათრებისაგან ბევრი ჰყავდა სახელმწიფო სტრუქტურებში დაწინაურებული, 2-3 კაცი ყოველთვის მინისტრებადაც კი ჰყავდა დაწინაურებული და ჰყავს კიდევაც. ამიტომ თუ ჩვენი ხიდის საბოლოო ჩატეხვა მაინც არ გინდათ, მანდ მყოფ 8-10 ინგილო ოჯახის რაოდენობის 80-100 კომლამდე გაზრდაზეც უნდა იფიქროთ და მათ მოვლა-პატრონობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

2. ზაქათალა — ბელექნის რაიონების ახალგაზრდებისათვის მე-13 წელია უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად მოსამზადებელ განყოფილებაზე გამოიყოფა 35 ადგილი. მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო 6-7 წელია ამ ლიმიტების თითქმის ნახევარს ვერ ავსებ ლიურად ვკარგავთ. ამიტომ ჩვენი ქართული სკოლების გაძლიერების მიზნით, 10-12 ინგილო აბიტურიენტის სტუდენტად ჩარიცხვა აუცილებელია; დიდი ხანია ჩვენთან ქართულ სკოლებში შექმნილია ანტიქართული სიტუაცია, ამ ვითარების გასანეიტრალებლად რომ ეს აუცილებელია, მანდ ამისი მნიშვნელობაც ვერ გაიგეს. ხვეწნა-მუდარით ბევრჯერ გვითხოვია ეს და გვითქვამს: „ჩაგვირიცხეთ 10-12 კაცი“. როგორც იყო ეს პრაქტიკაში 1991 წლამდე“. მაგრამ კაი მთქმელს კაი გამგები არ დახვდა და ვართ უპერსპექტივოდ და უხალისოდ! ამ და სხვა საკითხებზე ალიაბადიდან მისწერეს ბატონ ა. ჯორბენაძეს მ.წ. ივლისის დასაწყისში, მაგრამ ისევ არავითარი რეაქცია...

3. ამ 13 წელში ორჯერ მივიღეთ თბილისიდან სახელმძღვანელოები. ამან სულ 18 პროცენტი მოსწავლე დააკმაყოფილა სახელმძღვანელოებით. იქნებ გამოგვიგზავნონ იმდენი, რომ მოსწავლეთა ნახევარი მაინც დააკმაყოფილოს.

4. 37 წელია საქართველოს განათლების სამინისტროს და კულტურის სამინისტროს ჩვენს სკოლებში და სოფლებში ფეხი არ შემოუდგამს, არც რაიმე კონტროლი და არც რაიმე მეთოდური დახმარება არ გაგვწევია. სამაგიეროდ აზერბაიჯანი საქართველოს თათრულ სკოლებს თავისუფლად ნახულობს, ეხმარება და შეფობს. როდემდე გაგრძელდება ეს ცალმხრივი მეგობრობა და მეზობლობა?! როგორც ჩანს, ინგილოთა მსხვერპლად შეწირვის ფასად მოიპოვებთ ამ მეგობრობას.

5. კომუნიზმის პირობებში, 1960 წლიდან, პერიოდულად ვაგზავნიდით ჩვენს 7-12 წლის ასაკის (წელში 20-30) გოგო-ბიჭებს თბილისის ანდა ახლო მდებარე სკოლა-ინტერნეტებში სწავლა-აღზრდისათვის. ჩვენი ბავშვების სწავლა-აღზრდა მაშინ ნორმალურად მიმდინარეობდა. 10 წლის შესვენების შემდეგ, 1996-97 წლებში ისევ დავიწყეთ ბავშვების თბილისის ინტერნატებში გამოგზავნა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ბავშვები უკან გავიწვიეთ, რადგან მეტისმეტად ცუდ პირობებში უწევდათ სწავლა და ცხოვრება: დატბილიანებული ბავშვები სწრაფად უკან დავაბრუნეთ, ეს ტრადიციულად აწყობილი კეთილი საქმეც ასე მოგვეშალა...

6. აწყობილი გვქონდა აგრეთვე მეორე კარგი საქმეც: კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონების ინგილო მოსწავლეებს საქართველოში ზაფხულობით პიონერთა ბანაკებში ვასვენებდით. ეს პრაქტიკა სსრკ-ის დაშლის შემდეგაც აღდგა. რამდენიმე წელი მუსლიმური თემის ინგილო მოსწავლეებიც მოდიოდნენ ხოლმე. სამწუხაროდ, 1993 წლის შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანში მეორედ აღზევებული ჰეიდარ ალიევი კარგად მომაგრდა, ჯერ ჩვენს მუსლიმ ინგილოებს ეროვნება შეუცვალა, გვითხრა: „თქვენ არც ქართველები და არც ინგილოები არ ხართ, თქვენ აზერბაიჯანელები ხართ, კახის ქრისტიანებიც არ არიან ქართველები, ისინი ინგილოები არიან. ამიტომ ქართულენოვანმა მაჰმადიანმა ინგილო მოსწავლეებმა საქართველოში კი არა, არამედ აზერბაიჯანში უნდა დაისვენონ“. ბოლო 6 წელია ასე ჩაგვეშალა ეს საქმეც!..

7. იმ რეჟიმშიც და ამ რეჟიმშიც ჩვენი თემის ინგილო აბიტურიენტებისათვის (განსაკუთრებით, ამ ბოლო 10-12 წელში) ქართულ სკოლებში ხანგრძლივი უკონტროლობის გამო სწავლის პროცესი საყოველთაოდ მოშლილი იყო, ამიტომ ცოდნის მხრივ ძალიან დაბალი დონით ამთავრებენ ჩვენს სკოლებს. ასეთი დაბალი დონით მოსული ინგილო სტუდენტი ასეთივე დაბალი დონით 6-7 წლის შემდეგ უბრუნდება საინგილოს და, უცოდინარი, ადვილად ემონება თათრის უსამართლობას. 5-10-20 წლის წინ ბევრჯერ მივწერეთ თბილისში და ვთხოვეთ ყოველ ინგილო სტუდენტზე სწავლაში მკაცრი კონტროლი დაეწესებინა კათედრას, დეკანატს, რექტორატს, მაგრამ ამ მადლიან საქმეს

გაგრძელება მერვე გვერდზე

მეშვიდე გვერდიდან

არსად მოკიდეს ხელი, „ინგილო ინგილოაო“ და სამიანებით ასაჩუქრებენ ღირსეულებსაც და უღირსებსაც. იქნებ თქვენ მაინც დაინტერესდეთ ამით?!

8. 1822, 1834, 1857-61 და შემდგომ ათწლეულშიაც და 1917-20 წლებშიც იყო სურვილი და ცდები ინგილოებში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენისა, მაგრამ ყოველთვის, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, „დიდ ქართველთა“ ბრალითაც, ეს კეთილი წამოწყება ვერ აღწევდა წარმატებას და ფერხდებოდა ეს საქმე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

ახლა, 1989-1995 წლებში ისევ დაიწყო ჩვენს სოფლებში ქრისტიანობის აღდგენისათვის სერიოზული მოძრაობა, მაგრამ საქართველოს როგორც საერო, ისე საასულიერო ხელისუფლება შორს დადგა ინგილოთა ამ წამოწყებისაგან და მშვიდად დააგდო ისინი ჰ. ალიევის სუკის ასიმილატორი, პან-ისლამისტი და პან-თურქისტი ხროვის საჯიჯგნელად. 1996 და 1997 წლებში შუაღამისას ავტომატ კალაშნიკოვით — ტყვიები დაუშინეს ქრისტიანობააღდგენილ ინგილოთა სახლების კარებსა და ფანჯრებს, სხვა ოჯახებს მუქარით აღსავსე ანონიმური წერილებიც გაუგზავნეს. 8-10 წელია, დევნილი, გასრესილი, დაშინებული და უპატრონოდ მიგდებული ქრისტიანები არსებობენ და სულს ღაფავენ უკიდურეს გაჭირვებაში! ვნახოთ როდემდე იარსებებენ და როდემდე გასძლებენ?!

კიდევ ერთხელ მოგმართავთ: დაგვეხმარეთ! თუ რამით განსხვავდებით შევარდნაძის ხელისუფლებისაგან, ეს თქვენი მოვალეობაა!

სოფელ მოსულის მცხოვრებთა სახელით:

1. ზოთა ალიგეგაშვილი
2. ელნარა ალიგეგაშვილი
3. ჯემალ სულეიმანოვი (ანდრიაშვილი)
4. იბრაგიმ სულეიმანოვი (ანდრიაშვილი)
5. მუსტაფა მადათოვი (ძევხიშვილი)
6. თემრაზ ძენგულოვი (თოხლიაშვილი)
7. ისმაილ ბურჯაევი (გადურაშვილი)
8. ყასიმ ალასიევი (ალიგეგაშვილი)
9. მუსა ისაევი (თამაზაშვილი)
10. რაგიმ მაჰმედოვი (აღნიაშვილი)
11. ისმაილ გეიქროვი (ასისთავიშვილი)
12. ჰასან სამედოვი (მამულაშვილი)
13. რივან სემედოვი (მამულაშვილი)
14. ჰასან მამედოვი (ნაცვლიშვილი)
15. თამაზ ბალაევი (გადურაშვილი)
16. მურად მურადოვი (ასისთავიშვილი)

5.09.03 წ.

2003 წ 30 აგვისტოს ეს წერილი თითქმის დამთავრებული გვქონდა, როდესაც თბილისიდან, ზემო ქედზე გამოვლით გვეწვივნენ ჟურნალისტები. ამ ათ წელში ესეც პირველი შემთხვევაა, რომ ჩვენს სოფელში სტუმრად თბილისიდან მოვიდნენ! ჟურნალისტებს მოეწონათ ჩვენი წერილი და გვთხოვეს წერილი მიგვეცა თავიანთ გაზეთებში გამოსაქვეყნებლად. ჩვენ არ მივეცით, ვუთხარით, ჯერ გავუგზავნით ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რომლის დიდი იმედი გვაქვს. დაველოდებით ერთ თვეს; თუ ისევ რაიმე შედეგი არ მოყვება, ამ შემთხვევაში მოგართმევთ ამ წერილსო, შევპირდით.

კიდევ ერთხელ გთხოვთ დაგვეხმაროთ.

მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები

მესამე გვერდიდან

ბი ხელს უწყობს ერთის მხრივ, ლობირებული ბიზნესის თავის არიდებას გადასახადებისაგან, ხოლო მეორე მხრივ ჯერ კიდევ შემორჩენილ საშუალო და მცირე ბიზნესის მასობრივ გაჩანაგებასა და გაკოტრებას, რის გამოც თავიდანვე შეუსრულებლობისათვის განწირავს ბიუჯეტს.

საქართველოს ბანკებში კრედიტებზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები, მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტირებისათვის მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა, ინვესტიციაში მონაწილე მხარეების უფლებების, კერძოდ — საკუთრების უფლების დაცვისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელების უუნარობა სისტემატიურად ამცირებს დასაბეგრ ბაზას და საზოგადოებას უკარგავს იმ შესაძლო შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური რესურსები შეიცავს.

საავალალო მდგომარეობაში იმყოფება ლიბერალური ეკონომიკის ფასწარმოქმნის და მისი მარეგულირებელი ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორსაც ბაზარი წარმოადგენს.

იგი განიცდის უდიდეს ზეწოლას და სუბიექტურ ჩარევებს, რის გამოც იგი ფაქტობრივად ჩავარდნილია და მას ძირითადად დაკარგული აქვს ეკონომიკის მარეგულირებლის ფუნქცია. ამის შედეგად ფასები არ ემორჩილებიან ეკონომიკურ კანონზომიერებებს, ვერ ახორციელებენ მოთხოვნილებისა და მიწოდების შესაბამისად ეკონომიკის (განსაკუთრებით — პროდუქციის მწარმოებელი ეროვნული ბიზნესის) მარეგულირებელ ფუნქციას.

საფონდო ბაზარი ფორმალურად არსებობს და ფაქტიურად ვერ ასრულებს სხვადასხვა ბიზნესის რენტაბელობის შესაბამისად ეკონომიკური რესურსების მოზიდვისა და გადანაწილების მარეგულირებელ ფუნქციას.

პარადოქსულია, რომ საქართველოში, რომელიც ეკონომიკური რესურსების მხრივ, ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოების გვერდში დგას, ერთობლივი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოს ჩამორჩენილი ქვეყნების მაჩვენებლის ტოლია, რომ სისტემატიურად დეფიციტური და სეკვესტრირებულია ბიუჯეტი და პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ სახელმწიფოს და მის ინსტიტუტებს ეუთოს და საერთაშორისო სტრუქტურების ჩარევის გარეშე საკუთარი პარლამენტის ობიექტური არჩევნების ჩატარებაც არ შეუძლია.

არჩევნები და მასში მონაწილეობა გადაქცეულია გაღატაკებული მოსახლეობის მოსყიდვის, თვალის ახვევის, საზოგადოების დაქსაქსვის, დაპირისპირების საშუალებად და გამოიყენება „დემოკრატიულ“ ნიღბად სახელისუფლებო ორგანოების ისეთნაირად დაკომპლექტებისათვის, რომლის დროსაც უმრავლესობა ყოველთვის კრიმინალურ-კლანური, „ელიტოკრატიის“ ლობია, ხოლო ოპოზიცია მხოლოდ დემოკრატიულობის იმიჯის შექმნის მიზნით არსებობს.

კანონი სახალხო რეფერენდუმის შესახებ და არსებული სამართლებრივი ბაზა სერიოზული ხარვეზებისა და პოლიტიკური ბლოკირების გამო, ფაქტობრივად არ აძლევს მოქალაქეებს საშუალებას დემოკრატიული გზით, პარლამენტის გადაწყვეტილებების გარეშე, საზოგადოების უმრავლესობის მიერ გამოხატული ნების საფუძველზე მოახდინოს სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების და საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შემუშავებული, ხშირ შემთხვევაში ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის საზიანო პოლიტიკური კურსის შეცვლა.

სამართალი და სამართლის განმახორციელებელი სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების, მათ შორის — უმნიშვნელოვანესის, საკუთრების უფლების დაცვას, რის გამოც მოქალაქეები თვეობით და წლობით ვერ ახერხებენ მათ საკუთრებაში არსებული ხელფასებისა და პენსიების მიღებას. დიდი ნაწილი ვერ ღებულობს საარსებო მინიმუმის შესაბამის შემოსავალს მიუხედავად იმისა, რომ, მათ საკუთრებაში არსებული ქონებრივი რესურსების გამოყენებით და სახელმწიფოს სახელით, სახელმწიფო მოხელეები და ცალკეული პირები ყოველწლიურად განკარგავენ მილიონობით აშშ დოლარის კრედიტებს და გრანტებს.

შემაშფოთებელი და მოუთმენელია, რომ საქართველოში, დემოკრატიულ-ლიბერალური რეფორმების განხორციელების მოტივით, სახელმწიფო სტრუქტურების სახელით, მაფიოზურად გაერთიანებული კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეები მოქალაქეთა საკუთრების უფლების იგნორირებით განკარგავენ და სარგებლობენ ეროვნული სიმდიდრით, აჩანაგებენ მას და ფაქტიურად ძირს უთხრიან სახელმწიფოს თავისუფლებისა და ეკონომიური დამოუკიდებლობის საფუძველს.

ვაჟა მალაღურაძე

მეხუთე გვერდიდან

პოემის ორივე მთავარი გმირი (განსაკუთრებით, ავთანდილი) გამუდმებით ებრძვის გაუძლისი გრძნობების შემოტევას, საკუთარი გულის გამოუკვლეველ მორევს. ამ შინაგანი ბრძოლის ეპიზოდებს „ვეფხისტყაოსანში“ მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე გარეგანი დაბრკოლებების ძლევისას გმირთა მიერ. თვით პოემის ფაბულის მთავარი შემობრუნებაც კი იმაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ ვერ შეძლებს ავთანდილი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ტარიელის მობრუნებას. (სტრ. 877-914).

ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ ლოცვისას გმირი ღვთისგან პირველ ყოვლისა საკუთარ ირაციონალურ საწყისზე გაბატონების ძალას, შინაგან ჰარმონიას ითხოვს („მომეც დათმობა სურვილთა“. სტ. 819), შემდეგ — სატრფოს გულში სიყვარულის გაღვივებას და მხოლოდ ამის შემდეგ — მტერზე და ზღვის ღელვაზე გამარჯვებას. (სტრ. 820-821).

„ვეფხისტყაოსნის“ პოლემიკური სიმახვილე, — თუკი შეიძლება პოლემიკაზე ვილაპარაკოთ, როცა საქმე მხატვრულ ნაწარმოებს ეხება, — იქითკენაა მიმართული, რომ ადამიანს სიბრძნისკენ, ოპტიმიზმისკენ, შინაგანი ჰარმონიისკენ მოუწოდოს. მაგრამ ამავე დროს ავტორის მთავარი აღმოჩენა, როგორც პოეტისა და მხატვრისა, ისაა, რომ მან ადამიანის ბუნებაში ეს იდუმალი სიღრმე დაინახა და სწორუპოვარი მხატვრული ძალითა და თვალსაჩინოებით გამოსახა.

„ვეფხისტყაოსნის“ ადგილი ისტორიაში. ეს პრობლემა, რომელიც არც რუსთაველამდე, არც მის დროს მსოფლიოში არავის არ მოუყვანია მის თემატიზებამდე, ანუ მის ექსპლიციტურ დასმამდე, განსაზღვრავს ვეფხისტყაოსნის ადგილს ადამიანთა ჰუმანიტარული კულტურის ევოლუციის გრძელ ისტორიაში. რუსთაველის გმირი რელფექსიის მომხდენი, ერთის მხრივ თავის ორიენტაციათა და მიზანსახვათა, მეორეს მხრივ თავის რეალურ უნართა და შესაძლებლობათა შემჯერებელი, თავისი ინდივიდუალური ბუნების სიღრმის შემცნობი და, რაც მთავარია, ამ სიღრმით დაინტერესებული ადამიანია. იგი ევროპულ რენესანსზე ცოტა ადრე შობილი რენესანსული ადამიანია და ამ მხრივ თანამეროვე ცივილიზებული ადამიანის წინაპარია, ანუ: იგი მემკვიდრეა და ნაწილია მრავალსაუკუნოვანი ღრმა ქრისტიანული კულტურისა, რომელ-

რექისორი ციხეში იფურთხება

მაც ადამიანებს ინდივიდუალური ადამიანის უსასრულო ღირებულების გაგება, ინდივიდუალურ ადამიანში უსასრულოდ ვრცელი და ღრმა შიდასამყაროს დანახვა ასწავლა.

ამასთან, იგი შვილია საზოგადოებისა, რომელმაც „ქვეყნისა და ადამიანის აღმოჩენა“ (ბურკჰარტის ტერმინია), ანუ საწუთროს უარმყოფელი შუასაუკუნებრივი შეზღუდვებისაგან და თვითდათრგუნვისაგან ემანსიპაცია მოახდინა, და რომელსაც ამავე დროს თავისი ზოგადი ადამიანური ბუნებაც და თავისი ინდივიდუალური სულიერი და გონებრივი გარკვეულობაც ობიექტივირებული (ანუ შემეცნებისა და შეფასების საგნად ქცეული) აქვს და ორიენტირებულია მის მართვაზე საკუთარი გონების კარნახისა და მიზანსასახვის შესაბამისად. კაცობრიობის ჰუმანიტარული განვითარება სხვა არაფერია თუ არა ამ შეფასებისა და მიზანთსახვის განვითარება-სრულყოფის უწყვეტი, თუმცა ოღრო-ჩოღრო პროცესი.

* * *

ახლა კი, მე მგონი, ინციდენტის „კლინიკური“ მხარეღა დაგვრჩა სახსენებელი თუ ასახსნელი. რა ცნობიერი და არაცნობიერი სტიმულები აქვს რ. სტურუას ამ ესოდენ ავ შემოტევას ქართული კულტურისა და ისტორიის წინააღმდეგ, რასაც, სამწუხაროდ, დღეს მრავალი ანალოგი აქვს? მე ამ ფაქტში ორ ურთიერთგანსხვავებულ მოვლენასა და ორ ურთიერთგანსხვავებულ ფაქტორს ვხედავ. პირველი, მე მგონი, ინდივიდუალური ხასიათისაა და მასში „24 საათის“ რესპონდენტი დაზარალებულად უფრო გამოიყურება, ვიდრე დამზარალებლად. ცნობილია, რომ ღარიბს, თუ იგი თანდაყოლილი სიკეთით არ გამოირჩევა, მდიდარი არ უყვარს, უსწავლელს ნასწავლი სძულს, ნაკლებ ნიჭიერს უფრო ნიჭიერი კიდევ უფრო სძულს, ხოლო უფრო მწირი ბუნების კაცს უფრო ბუნებამდიდრის სიძულვილით აკანკალებს (რადგან თავისი ბუნების სიუხვის ზომას ყველა ადამიანი, ასეა თუ ისე, მეტ-ნაკლებად სწორედ ითვალისწინებს). ბრეხტის და „რიჩარდ მესამის“ დამდგმელ წარმატებულ რეჟისორს აღიზიანებს აქტიურ და გამბედავ სულთა ესა და ეს მახასიათებლები, რომლებსაც იგი ამა და ამ პიროვნებებსა და მათ ნაღვაწში ხედავს — ცოცხლებისაშიც და კლასიკოსებად კანონიზირებულებისაშიც — და რომელსაც იგი თავისთავში მაინც და მაინც ვერ გრძნობს. აქედან — ეპატაჟი (როგორც მისი ინტერვიუერი უწოდებს ამ პოზიციას) და „საზოგადოებრივი აზრისათვის სილის გაწვნის“ ტენდენცია, რომელიც გამოხატულია კლასიკურ ანდაზაში „პატარძალმა ხუმრობა არ იცოდა და თორნე შებილწო“. მეორე მოვლენა უფრო რთულია და უფრო მანკიერი. ამ შემთხვევაში გაღიზიანების საგანია არა ინდივიდი ან ინდივიდები, არამედ ქართველი ერი, როგორც ასეთი, მისი საუკუნოვანი ბალანსირება სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იმპერიის ულმობელ კლანჭებში, მისი „რატომღაც“ ვერმოსპობილი სიამაყე, სწრაფვა დამოუკიდებლობისადმი და საკუთარი სახის შენარჩუნებისადმი, რომელიც სურვილს იწვევს ამა თუ იმ გულგრილ მაყურებელში, რომ „ბარეგ“ ერთი წიხლიც ჩააზილოს და მოუსავლეთში გადაჩეხოს, ო ჰენრის გამოთქმისა არ იყოს, „ის კაცი ისეთი საცოდავი იყო, რომ გარტყმის სურვილს იწვევდაო“.

ეს მოვლენა არსებობს და, ალბათ, არსებობას გააგრძელებს ერთხანს — მანამდე, სანამ იმ კლანჭებიდან თავდახსნილი საზოგადოება ცოტა ფერ-ხორცს არ შეიძენს და იმ „გარტყმის სურვილის“ აღმძვრელად ყოფნას არ შეძლებს.

რ. სტურუა, რამდენადაც ვიცი, კომუნისტური ოჯახის შვილია, — არა ბოლო დროის მექრთამე და სიბარიტი კომუნისტებისა, არამედ ძველი „იდეური“ კომუნისტებისა, რომლებიც რევოლუციაში მონაწილეობდნენ (მათს ამ მონაწილეობაზე იხ. მაგალითად მიქოიანის მოგონებები, რომლებიც ჟურნალ „ცისკარში“ იყო დაბეჭდილი) და რომელთა ერთ შთამომავალზე, ჩემს ნაცნობზე, ამბობდნენ, „ტეკას“ მდივნობაში გაცრეცილი პალტო ეცვაო. კომუნიზმი ადამიანის ბუნების ერთი მარადიული მხარეა და მისი არსი მდგომარეობს „თანასწორობის“ დამყარების მისწრაფებაში იმ გზით, რომ ყოველივე, რაც თქვენზე და თქვენსაზე უკეთესია, თქვენს დონეზე ჩამოათრიოთ ან მოსპოთ. ეს პრინციპულად სხვა თანასწორობა გახლავთ, ვიდრე ის, რომელსაც ქრისტე ქადაგებს და რომელიც ადამიანებს ქრისტემ დაანახვა — სახელდობრ, ადამიანებში ისეთი რამის არსებობა, რაშიც ყველანი მართლაც თანასწორნი ვართ (ნების თავისუფლება, სიკეთისა და ბოროტების გარჩევისუნარიანობა და მათ შორის არჩევანის უნარიანობა) და რასთან შედარებითაც ადამიანთა განსხვავებები ზომაში, წონაში, სილამაზეში, ჭკუაში თუ ღონეში მნიშვნელობას კარგავს (და სწორედ ამიტომაა, რომ კომუნისტური მენტალიტეტი ქრისტიანულ რელიგიას ვერ ურიგდება). დღეს საქართველოში ქართველი ერის სპეციფიკური ღირსებების წინააღმდეგ ლაშქრობა (ანუ ისეთი ღირსებების წინააღმდეგ, რომლებიც ყველას არა აქვს) ამ ჭეშმარიტად კომუნისტური მენტალიტეტის გამოვლენის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა.

ნ. ნათაძე

მთავარი რედაქტორი
მანანა ლოგჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-15-89

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.